დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - ქალაქ თბილისის №58 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლიანა კობესაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

წევრები:

სერგო დურგლიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
მაია ბერიანიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
ნანა ქურთიაშვილი-თაბორიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
ეთერი ხობუა (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
მარიამი ჩიკვაიძე-კეჭაყმაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
ელიზა ბაგალიშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
ლია ცერცვაძე-ცუცქირიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
მზია დადვანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
მიხეილ გაფრინდაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
ნინო ვაშალომიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ქალაქ თბილისის №58 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	203851386

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**თბილისი**
იურიდიული მისამართი	შალვა ღამბაშიძის N3გ
ფაქტობრივი მისამართი	შალვა ღამბაშიძის N3გ
საფოსტო ინდექსი	0179
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	**https://skolebi.emis.ge/**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	tbilisi58@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების	032 2 225321

ტელეფონის ნომერი	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - ქალაქ თბილისის №58 საჯარო სკოლაში ვიზიტის შესახებ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 28 ივლისის ბრძანება MES 9 23 0000939666 (ცვლილება ბრძანებაში MES 3 23 0000954825, 2 აგვისტო 2023 წელი)
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	29,30 აგვისტო, 2023 წელი.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის

				და ქუჩის მითითებით)
1.	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ქალაქი თბილისი შალვა ღამბაშიძის N3გ
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ქალაქი თბილისი შალვა ღამბაშიძის N3გ
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ქალაქი თბილისი შალვა ღამბაშიძის N3გ

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანებით განსაზღვრულმა ექსპერტთა ჯგუფმა, ვიზიტის დაწყებამდე შეისწავლა სკოლის თვითშეფასება და თანდართული დოკუმენტაცია. დისტანციურად, Teams-ის პლათფორმის მეშვეობით, გამართა ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრები, განიხილა ვიზიტის საორგანიზაციო საკითხები, შეიმუშავა დღის წესრიგი და წარმოების ფარგლებში დამატებით გამოსათხოვი დოკუმენტაციის ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გაეგზავნა წინასწარ.

სსიპ - ქალაქ თბილისის №58 საჯარო სკოლაში განხორციელებული ჰიბრიდული ვიზიტის ფარგლებში ადგილზე, სკოლაში, იმყოფებოდა ექსპერტთა ჯგუფის 3 წევრი. თავმჯდომარე, ექსპერტი ხარისხის მიმართულებით და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი. სხვა საგნების საგნობრივი ექსპერტები დისტანციურ რეჟიმში ერთვებოდნენ პროცესში. ვიზიტი წარიმართა წინასწარ გათვალისწინებული დღის რეჟიმის შესაბამისად, მშვიდ და საქმიან გარემოში. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში შეამოწმა სკოლის მიერ შემუშავებული სკოლის ფილოსოფია (შემუშავების, გაზიარების, გასაჯაროების და მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები), განსახორციელებელი ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერისა და მოსწავლეთა მხარდაჭერის მიმართულებით სკოლის მიერ დაგეგმილი საქმიანობა. დაათვალიერა კურიკულუმთან მიმართებაში დაწესებულების სასწავლო გარემო, საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები, შეამოწმა სკოლის ბიბლიოთეკა და ლაბორატორიები. გაესაუბრა სკოლის წარმომადგენლებს: ადმინისტრაცია, მასწავლებლები (კათედრების მიხედვით). ზემოთაღნიშნულის საფუძველზე მომზადდა შესაბამისი დასკვნა.

ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად გამოკვეთილი მიგნებები გაცნობილი იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ღირებულებები	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: **350**	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა სამივე საფეხურის (დაწყებითი, საბაზო , საშუალო) პროგრამები.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური	სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 27/09/2023 წლის 5006262123

	უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას	კორესპონდენციით წარმოდგნილი N006590123 დასკვნის მიხედვით სკოლის სასწავლო კორპუსის ტექნიკური მდგომარეობა მთლიანობაში შეიძლება შეფასებული იქნას როგორც არადამაკმაყოფილებელი რასაც განაპირობებს ეზოს მხრიდან მარცხენა ფლიგელი, რომელიც ფაქტიურად ავარიულია და ექსპლოატაციას არ ექვემდებარება. შემფასებელს მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული მონაკვეთის დემონტაჟი და ახლის აშენება დამუშავებული პროექტის მიხედვით სეისმური ნორმების შესაბამისად. სასწავლო კორპუსის დანარჩენი ნაწილის ექსპლუატაცია შესაძლებლია შესაბამისი შეზღუდვების გათვალისწინებით. მიშენებული ფლიგელის ტექნიკური მდგომარეობა, მიუხედავად ცალკეული ხარვეზებისა დამაკმაყოფილებელია და ექსპლუატაციისათვის ვარგისია.
სტანდარტი	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი		

სტანდარტი	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი		.....

....		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)1

სტანდარტი	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაც*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას	დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეათანხმოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და მოიპოვოს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა
ინდიკატორი 3.5.1.3.	**სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (2024 წლის 8 ოქტომბრამდე)

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

		უზრუნველყოს შენობაში ლიფტის ან პანდუსის მოწყობა
სტანდარტი	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაც*
ინდიკატორი		

სტანდარტი	*სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)*	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაც*
ინდიკატორი		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი	*სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა*	*რჩევა*
ინდიკატორი N3.3.1.2	იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები	სკოლას მიეცა რჩევა იდენტიფიცირება გაუკეთოს და აღწეროს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

		ერთ დოკუმენტში
ინდიკატორი N3.4.1.1	**სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას**	სკოლას მიეცა რჩევა უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტს აყვანა
ინდიკატორი N3.5.1.5	**სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).** *ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.*	სკოლას მიცა რჩევა სკოლის ლაბორატორია უზრუნველყოს გამწოვი სისტემით
სტანდარტი	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*რჩევა*
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	**სასკოლო კურიკულუმი** (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	*რჩევა*
ი ნ დი კ ა ტორი N 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	**სკოლას მიეცა რჩევა:** ტექნოლოგიების კურიკულუმში ცნებები საჭიროა მუშავდებოდეს კომპიუტერული ტექნოლოგიების გზამკვლევში (რესურსი1) მოცემული ლოგიკური თანმიმდევრობით კლასების მიხედვით. მასწავლებელი უნდა ახდენდეს რეფლექსიას განხორციელებული კომპლექსური დავალებების, აქტივობების შესახებ, კურიკულუმში უნდა იკითხებოდეს დიფერენცირების და განმავითარებელი შეფასების რომელიმე ინსტრუმენტის გამოყენება
ი ნ დი კ ა ტორი N2.2.1.4.	სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);	**სკოლას მიეცა რჩევა:შემუშავდეს** ნამუშევრების ანალიზის ფორმა და განხორციელდეს მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების ანალიზი
ნდიკატორი N2.3.2.4	**შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.**	სკოლას მიეცა **რჩევა:** 1. საშუალო საფეხურის კურიკულუმისთვის კომპლექსური დავალებები შეარჩიეთ math.ge მათემატიკის საიტიდან, სადაც განთავსებულია დამატებითი რესურსი „მათემატიკის სახელმძღვანელო“

		მიმართულებების მიხედვით. 2. შექმენით მოსწავლეთა ნამუშევრების/ პორტფოლიოების ბაზა, რაც დაგეხმარებათ მოსწავლეთა შეფასებაში 3. შექმენით ყველა კლასისთვის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მათ შორის ტესტები, თემების მიხედვით, რაც დაგეხმარებათ მოსწავლეთა შეფასებაში.
სტანდარტი 2	**სასკოლო კურიკულუმი** (საბაზო საფეხურ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	*რჩევა*
ინდიკატორი N2.3.2.4	**შეფასება ხორციელდება სხვადასხ ფაქტორის გათვალისწინებით.**	**სკოლას მიეცა რჩევა:** 1. საშუალო საფეხურის კურიკულუმისთვის კომპლექსური დავალებები შეარჩიეთ math.ge მათემატიკის საიტიდან, სადაც განთავსებულია დამატებითი რესურსი „მათემატიკის სახელმძღვანელო“ მიმართულებების მიხედვით. 2. შექმენით მოსწავლეთა ნამუშევრების/ პორტფოლიოების ბაზა, რაც დაგეხმარებათ მოსწავლეთა შეფასებაში 3. შექმენით ყველა კლასისთვის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მათ შორის ტესტები, თემების მიხედვით, რაც დაგეხმარებათ მოსწავლეთა შეფასებაში.
სტანდარტი 2	**სასკოლო კურიკულუმი** (საშუალო საფეხურ	*რჩევა*

	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	
ინდიკატორი N2.3.2.4	**შეფასება ხორციელდება სხვადასხ ფაქტორის გათვალისწინებით.**	**რჩევა:** 1. საშუალო საფეხურის კურიკულუმისთვის კომპლექსური დავალებები შეარჩიეთ math.ge მათემატიკის საიტიდან, სადაც განთავსებულია დამატებითი რესურსი „მათემატიკის სახელმძღვანელო“ მიმართულებების მიხედვით. 2. შექმენით მოსწავლეთა ნამუშევრების/ პორტფოლიოების ბაზა, რაც დაგეხმარებათ მოსწავლეთა შეფასებაში 3. შექმენით ყველა კლასისთვის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მათ შორის ტესტები, თემების მიხედვით, რაც დაგეხმარებათ მოსწავლეთა შეფასებაში.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

დაწესებულებამ სრულად გაიზიარა ექსპერტთა მიერ დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები (სსიპ - ქალაქ თბილისის №58 საჯარო სკოლი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის იოსებ ლაზარაშვილის 06/10/2023 წლის კორსპონდენცია MES 7 23 0001322621). არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და ასევე წარმოადგინა უკვე განხორციელებული აქტივობების მტკიცებულებები, რის შედეგადაც რიგი ინდიკატორების მოთხოვნა დაკმაყოფილდა და კომპონენტები, რომელიც დასკვნის პროექტში შეფასებული იყო როგორც არ შეესაბამება გადავიდა სრულ ან მეტწილ შესაბამისობაში. გამონაკლისს წარმოადგენს 3.4. კომპონენტი, რომელიც 3.4.1.1 . ინდიკატორის ხარვეზის გამო (უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის მდგრადობის დასკვნა) არ შეცვლილა.

პირველი სტანდარტი

1.1 კომპონენტის შეუსაბამოდ შეფასება გამოწვეული იყო იმით, რომ სკოლას ვიზიტის პერიოდში ჰქონდა სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების პროექტი და არა თავად მისია, ხედვა და ღირებულებები. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას

დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, რომლებიც სრულად აკმაყოფილებდა მოცემული კომპონენტის ინდიკატორებს. შესაბამისად კომპონენტის შეფასება არ შეესაბამება შეიცვალა შეფასებით შეესაბამება.

1.2. კომპონენტის შეუსაბამოდ შეფასება განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ დაწესებულებას ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა სტრატეგიული განვითრების და სამოქმედო გეგმები. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტები შესაბამისი მტკიცებულებებით. სკოლის მიერ შემუშვებული სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი გეგმები აკმაყოფილებს შესაბამისი ინდიკატორების მოთხოვნებს, შესაბამისად კომპონენტის შეფასება არ შეესაბამება შეიცვალა შეფასებით შეესაბამება.

ამრიგად პირველი სტანდარტი, რომელიც დასკვნის პროექტში შეფასებული იყო როგორც არ შეესაბამება არგუმნტირებული პოზიციის წარდგენის შემდეგ გადავიდა სრულ შესაბამისობაში.

მესამე სტანდარტი

3.1 კომპონენტის შეუსაბამობას იწვევდა 3.1.2.3 ინდიკატორი. რადგან მასწავლებელთა ნაწილს ჰქონდა ნასამართლობის ცნობების (სხვადასხვა კატეგორიის დანაშაულისათვის) ქსეროასლები და ასევე ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი არ იყო მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისი. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას დაწესებულებამ წარმოადგინა იმ მასწავლებლების ნასამართლობის ცნობები (სხვადასხვა კატეგორიის დანაშაულისათვის) ვისაც ჰქონდა ვიზიტის პერიოდში ქსეროასლი და ამავდროულად წარმოადგინა ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების კანონმდებლობასთან შეუსაბამო წესის ძალადაკარგულად გამოცხადების აქტი. შესაბამისად კომპონენტის შეფასება არ შეესაბამება შეიცვალა შეფასებით შეესაბამება.

კომპონენტი 3.4 დარჩა ხარვეზში ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფი დაეყრდნო უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ დასკვნას რომელმაც სასწავლო კორპუსის ტექნიკური მდგომარეობა შეაფასა მთლიანობაში არადამაკმაყოფილებლად.

3.5.კომპონენტის ხარვეზს განაპირობებდა ინკლუზიური გარემოს არ ქონა. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით წარმოდგენილი პირობა 2024 წლის ოქტომბრამდე სკოლის შენობის ლიფტით და/ან პანდუსით აღჭურვის თაობაზე და კომპონენტის შეფასება შეუსაბამოა შეცვალა მეტწილი შესაბამისობით.

3.6 კომპონენტის ხარვეზი გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ სკოლას არ ჰქონდა ვებგვერდი. დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა ვებგვერდის მისამართი. გადამოწმებით დადგინდა, რომ სკოლას აქვს ვებგვერდი, რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო ფუნქციას ქართულ ენაზე და განთავსებულია ყველა საჭირო ინფორმაცია. შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა კომპონენტის შეფასება არ შეესაბამება შეცვალა შეფასებით შეესაბამება

3.7 კომპონენტის ხარვეზი გამოწვეული იყო იმით რომ სკოლას არ ჰქონდა ერთწლიანი გეგმა წარმოდგნილი და შესაბამისად ინდიკატორი 3.7.1.1. ვერ შეფასდა. არგუმენტირებულ პოზიციის წარმოდგენისას სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა ერთწლიანი გეგმა რომლის განხორციელებაც სკოლის ფინანსური რსურსით უზრუნვლყოფილი იქნება და შესაბამისად 3.7.კომპონენტის შეფასება არ შეესაბამება შეიცვალა შეფასებით შესაბამება.

სტანდარტი 3 მთლიანობაში შეფასდა როგორც არ შეესაბამება.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**
   სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა სკოლის ფილოსოფიის პროექტი.
   დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სკოლის მისია და ხედვა, რომელიც შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც არ აკმაყოფილებს მოთხოვნას არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ შეაფასა როგორც აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნას.
2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს.**
   სკოლას ვიზიტის დროს არ ჰქონდა სკოლის მისია და ხედვა. ჰქონდა პროექტი. **სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა სკოლის მისია და ხედვა, რომელიც ორიენტირებულია უსაფრთხო, მზრუნველ და წამახალისებელ გარემოს შექმნასა და სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობაზე. შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორის შეფასება არ აკმაყოფილებს მოთხოვნას შეცვალა შეფასებით აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნით**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია, ხედვა ღირებულებების **<u>პროექტი</u>** შემუშავებულია დირექტორის მიერ განსაზღვრული სამუშაო ჯგუფის (ბრძანება N2-97, 7 ივნისი 2023 წელი) მიერ. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში არიან: სკოლის დირექციის, სკოლის პერსონალის, მშობლების, სამეურვეო საბჭოს და მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლები. სკოლის ფილოსოფიის **<u>პროექტი</u>** (მისია, ხედვა, ღირებულებები) ჩამოყალიბებულია სამუშაო ჯგუფის სხდომაზე (12 ივნისი, 2023 წელი. სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმიN1). სკოლის ფილოსოფია ვიზიტის პერიოდში იყო ჯერ კიდევ პროექტის სახით.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შემუშავებული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორის შეფასება არ აკმაყოფილებს მოთხოვნას შეცვალა შეფასებით აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნას.

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის ფილოსოფიის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული სკოლის ფილოსოფიის პროექტი განხილულია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე ფილოსოფიის პროექტი დაზუსტდა და სხდომის გადაწყვეტილებით (ოქმი N4, 16 ივნისი, 2023 წ.) სკოლის ფილოსოფიის პროექტი, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი, სამეურვეო საბჭოს უნდა გადაეცეს შესათანხებლად სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტთან ერთად. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები უნდა გაზიარდეს სამეურვეო საბჭოსთან.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარებული (პედაგოგიურ საბჭოზე შეთანხმებული, სამეურვო საბჭოსთან გაზიარებული) სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორის შეფასება არ აკმაყოფილებს მოთხოვნას შეცვალა შეფასებით აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნას.

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის ფილოსოფია ჯერ მხოლოდ პროექტის სახით არის და შესაბამისად არ არის გასაჯაროებული. მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით იგეგმება სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების სკოლის ვებ-გვერდზე გამოქვეყნება.

სკოლას არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას უკვე ჰქონდა ვებგვერდი და ვბგვერდზე გამოქვეყნებული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. შესაბამისად ინდიკატორის შეფასება არ აკმაყოფილებს მოთხოვნას შეიცვალა შეფასებით აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნას.

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება სსიპ - ქალაქ თბილისის №58 საჯარო სკოლა სრულად შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ტერმინს (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლა)

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება (N2-97, 7 ივნისი 2023 წელი);
- ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ოქმი N1 (12 ივნისი, 2023 წ);
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N4 (16 ივნისი, 2023 წელი) ;
- სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (ბრძანება .N2-96, 7 ივნისი , 2023 წელი);
- სკოლის ვბგვერდი;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N6, 7 სექტემბერი, 2023 წელი;
- შესაბამისობის გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

   დაწესებულებას შემუშავებული აქვს მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (ბრძნება N2-96, 7 ივნისი 2023 წ, ცვლილება ბრძანებაში N 2-162, 30 აგვისტო). წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით სტრატეგიული დაგეგმვის პირველივე ეტაპზე ხდება სკოლის პერსონალის, მშობლების, მოსწავლეების და სხვა დაინტერესებული პირებისაგან ინფორმაციის შეგროვება (თვისობრივი და/ან რაოდენობრივი კვლევა) დაწესებულების შიდა პროცესების და დამოკიდებულებების შესახებ და მოპოვებული ინფორმაცის ანალიზი. წარმოდგენილი მეთოდოლოგიის თანახმად სასკოლო საზოგადოებასთან აქტიური კომუნიკაციის შედეგად მიღებულ რეკომენდაციები საჭიროების შემთხვევაში აისახება შესაბამის დოკუმენტში/დოკუმენტებში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

   სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის მიხედვით სკოლის სტრატეგიული გეგმა 7 წლიანი იქნება და სკოლა ახალ 7 წლიან გეგმაზე მუშაობას დაიწყებს ყოველი მოქმედი შვიდწლიანი გეგმის დასრულებამდე რამდენიმე თვით ადრე, რაც სტრატეგიული განვითარების გეგმის ციკლურ ხასიათს უზრუნველყოფს. თვითონ სტრატეგიული განვითარების გეგმა სკოლას ვიზიტის დროს არ ჰქონდა შემუშავებული.

   არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა სამეურვო საბჭოს მიერ დამტკიცებული შვიდწლიანი სტრატგიული გეგმა, რომლიც შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებსა და მიზნების შესაბამის ამოცანებს. შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორის შეფასება არ აკმაყოფილებს მოთხოვნას შეცვალა შეფასებით აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნას.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

   სკოლას ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა შემუშავებული.

   არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა სკოლის სტრატეგიული გეგმაზე დაფუძნებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორის შეფასება არ აკმაყოფილებს მოთხოვნას შეცვალა შეფასებით აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნას.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.**

   სკოლას არ ჰქონდა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა წარმოდგენილი.

არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიულ მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობებით, შესრულების გაზომვადი ინდიკატორებით, რეალისტური ვადებით, პასუხისმგებელი პირებითა და შესაბამისი რესურსებით გაწერილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორის შეფასება არ აკმაყოფილებს მოთხოვნას შეცვალა შეფასებით აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (ბრძნება N2-96, 7 ივნისი 2023 წ);
- ცვლილება N2-96 ბრძანებაში N2-162 ;
- შესაბამისობის გეგმა;
- სტრატეგიული და ერთწლიანი გეგმები.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**
   სკოლის მიერ შემუშავებული მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (ბრძნება N2-96, 7 ივნისი 2023წ.) ითვალისწინებს სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. მეთოდოლოგიის მიხედვით მონიტორინგსა და შეფასებას განახორციელებს დირექტორის მიერ ამ მიზნებისთვის შექმნილი სამუშაო ჯგუფი გარკვეული პერიოდულობ (შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი/შეფასება დაგეგმილია ყოველ 3 (სამ) წელიწადში და 7 (შვიდი) წლის გასვლის შემდეგ, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის - თითოეული სემესტრის ბოლოს).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

მიმდინარე წარმოების ფარგლებში აღნიშნული ინდიკატორი არაა შეფასებადი

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

მიმდინარე წარმოების ფარგლებში ინდიკატორი არაა შეფასებადი.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.**

სკოლას ერთის მხრივ მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით განსაზღვრული აქვს შეაგროვოს ინფორმაცია სასკოლო საზოგადოებისგან, მათ შორის ინფორმაცია წინა წელს დასახული სამოქმედო გეგმის შესრულების ხარისხზე და დაამუშავოს, ამასთან ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, შეადგინოს SWOT ანალიზი, რომლის მეშვეობითაც მოხდება სკოლის შესაძლებლობებისა და მომავალი განვითარების პერსპექტივების გამოვლენა, განიხილოს სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შესრულების ანგარიშები (წარმოდგენილი ამ მიზნებისათვის შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ) და მეორეს მხრივ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმით (ბრძანება N2-106, 9 ივნისი 2023 წ) დეკლარირებულია რომ სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი – PDCA-ს პროცესს ეფუძნება.

მიმდინარე წარმოების ფარგლებში სკოლის მიერ მეთოდოლოგიიისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის მიხედვით საქმიანობის წარმართვა ვერ შეფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (ბრძნება N2-96, 7 ივნისი 2023წ.) ცვლილება ბრძანებაში

N2-162 (30.08.2023 წ)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

   სკოლის ორგანზაციული სტრუქტურა მოიცავს სტრუქტურულ ერთეულებს: სამურვო საბჭო, დირქცია, ადმნისტრაცია, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო და თანამდებობრივ პოზიციებს: დირექტორი, მოადგილე, ბუღალტერი საქმისმწარმოებელი, მტუკი, საინფორმაციო მენეჯრი, ბიბლიოთეკარი, ექიმი, მასწავლებელი, სპეციალური მასწავლებელი, სსსმ პირის ასისტენტი, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი.

   სკოლას შემუშავებული აქვს თანამდებობრივი ინსტრუქციების დოკუმენტი (ბრძანება N2-105, 9 ივნისი, 2023 წ. ცვლილება ბრძანებაში 2023 წლის 30 აგვიტო N2-160). დოკუმენტში დაზუსტებულია სკოლაში მოქმედი კოლეგიალური სტრუქტურული ერთეულები და მათი საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები, სკოლაში განსაზღვრული თანამდებობრივი პოზიციები და დასაქმებული პირები მათი უფლება-მოვალეობების მითითებით.

   წარმოდგენილ დოკუმენტში და შესაბამისად სკოლაში დასაქმებულ პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში მკაფიოდაა განსაზღვრული სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების უფლება მოსილება და საქმიანობის კონკრეტული სფეროები. საქმიანობები დაგეგმილია და გადანაწილებულია პერსონალსა და სტრუქტურულ ერთეულებს შორის.

   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

   სკოლის მიერ წარმოდგენილი სკოლის სტრუქტურის, თანამდებობრივი ინსტრუქციების და სტრუქტურული ერთეულების დებულებებში წარმოდგენილი ფუნქცია/მოვალეობების, საშტატო განრიგის და მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების (პერსონალის შესახებ) მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და

პასუხისმგებლობები განაწილებულია, არ ხდება ფუნქცია - მოვალეობების დუბლირება. სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მთლიანობაში სრულად მოიცავს ყველა იმ სფეროსა და არეალს, რომლებიც სკოლის ძირითად საქმიანობას და სტრატეგიული მიზნების შესრულებას უკავშირდება და უზრუნველყოფს სკოლის ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულ ძირითად, მმართველობით და დამხმარე პროცესების მართვას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ქალაქ თბილისის N58 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები (ბრძანება N2-105);
- მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები პერსონალის შესახებ;
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

   სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა ეფუძნება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას (საქართველოს ორგანულ კანონს „საქართველოს შრომის კოდექსს“, საქართველოს კანონს „ზოგადი განათლების შესახებ“, სკოლის პერსონალის შერჩევასთან, საქმიანობის შეფასებასთან და პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

სამინისტროსაგან დადგენილ რეგულაციებს, „ეროვნული სასწავლო გეგმას“) და სკოლის მარეგულირებელ აქტებს: შინაგანწესსა და ადამიანური რესურების მართვის დოკუმენტს. სკოლის შინაგანაწესით განისაზღვრება ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, დასვენების ხანგრძლივობა, შრომის პირობების დაცვის წესები, წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი, მატერიალური პასუხისმგებლობა და სხვა. შინაგანაწესს იცნობს სკოლის პერსონალი რაც დასტურდება მათი ხელმოწერებით. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზანია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. სკოლა აწარმოებს სამუშაო დროის აღწერის ფორმას „სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმისა და მისი წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების (N01-15/ნ) შესბამისად. პერსონალის ხელშეკრულებებში დაზუსტებულია მათი პასუხისმგებლობები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლის დირქციასთან გასაუბრებით და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმების ეტაპზე, გარდა განათლებისა და სამუშაო გამოცდილებისა, ყურადღება ექცევა პერსონალურ თვისებებს. გათვალისწინებულია კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვები სკოლაში დასაქმების მსურველთათვის (ნასამართლობა სხვადასხვა კატეგორიის დანაშაულისთვის), შემუშავებულია სკოლის შინაგანაწესი, რომელიც ადგენს გადაცდომის და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს. სკოლა პერსონალის, კონკრეტულად კი მასწავლებლების პრევენციული და ინტერვენციული მართვის მიზნით მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით, მათ ერთ-ერთ ვალდებულებად განსაზღვრავს სკოლის დირექციის მოთხოვნის საფუძველზე სხვა მასწავლებლის მიერ გაცდენილი გაკვეთილის შესაბამისი გაკვეთილის ჩატარებას შესაბამისი ანაზღაურებით. სკოლა ასევე იყენებს შემცვლელი მასწავლებლის ინსტიტუტს რაც დადასტურდა შემცვლელ მასწავებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებით და ბრძანებით მოქმედ მასწავლებელთან შრომითი ურთიერთობის დროებით შეჩერების თაობაზე. დაწესებულებას 2023 წლის 9 ივნისს დამტკიცებულ თანამდებობრივ ინსტრუქციებში ბრძანება N2-105 (ცვლილება ბრძანებაში 2023 წლის 30 აგვიტო N2-160) განსაზღვრული აქვს ადმინისტრაციული პერსონალის მიერ თავისი უფლება-მოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში ვინ ჩაანაცვლებს.

სკოლაში მოქმედებს დისციპლინური კომიტეტი რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, იღებს საკუთარ უფლებამოსილებას მიკუთვნებულ გადაწყვეტილებებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლის დირექტორის N2-149 ბრძანებით (28 ივნისი, 2019 წელი) დამტკიცებულია სსიპ - ქალაქ თბილისის N58 საჯარო სკოლაში ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი. აღნიშნული **წესის მე-7 მუხლი (კომისიის შემადგენლობა) არაა შესაბამისობაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №174/ნ -თან (სკოლის მიერ წარმოდგენილ წესის მიხედვით კონკურსს ატარებს კომისია მინიმუმ 3 წევრის შემადგენლობით და აღნიშნულ კომისიაში შესაძლებელია მოწვეული იქნას გარეშე პირი, მაშინ როცა 174/ნ ბრძანების მიხედვით საჯარო სკოლის შემთხვევაში კომისიის**

შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 5 წევრით და კომისიის წევრად უნდა განისაზღვროს დამოუკიდებელი მოწვეული სპეციალისტი, აგრეთვე უნდა განისაზღვროს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტის წარმომადგენელი, სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი, სსიპ – მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი და მასწავლებელთა პროფესიული კავშირის წარმომადგენელი). ადგილზე გადამოწმდა 2022 წელს ქიმიის მასწავლებლის მიღების პროცედურები (მასწავლებლის დასაქმების პროცესის ამსახველი ვაკანსიის გამოცხადების და გასაუბრების კომისიის ფორმირების ბრძანებები, გასუბრების ოქმები, გადაწყვეტილებები, შერჩევის კრიტერიუმები) და **ის შესაბამისობაში იყო მოქმედ კანონმდებლობასთან.**

ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები, სადაც თითოეულ თანამშრომელს წარმოდგენილი აქვს ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ ცნობა. მასწავლებლებს დამატებით ჰქონდათ წარმოდგენილი ცნობა ნასამართლობის შესახებ. ზოგიერთ პირად საქმეში წარმოდგენილი ცნობები (ნასამართლობა სხვადასხვა კატეგორიის დანაშაულისთვის) იყო ქსეროასლი. ცნობები წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონულად ან წარმოდგნილი უნდა იყოს დედანი.

არგუმენტირებულ პოზიციაში დაწესებულებამ წარმოადგინა:

ა) ბრძანება N 1/კ-45, რომლითაც ძალადაკარგულად გამოაცხადა 2019 წლის 28 ივნისის ბრძანება N 2-149 „სსიპ-ქალაქ თბილისის N58 საჯარო სკოლაში ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ და აიღო ვალდებულება ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსი ჩაატაროს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №174/ნ -ის მოთხოვნების შესაბამისად.

ბ) ნასამართლობის ცნობები (სხვადასხვა კატეგორიის დანაშაულებებისათვის) იმ მასწავლებლების შემთხვევაში, რომლებსაც წარმოდგენილი ჰქონდათ ქსეროასლები.

გამომდინარე ზემოთთქმულიდან ინდიკატორის შეფასება არ აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნებს შეიცვალა შეფასებით აკმაყოფილებს ინდიკატორის მოხოვნებს.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას**

სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობას ეწევა 22 მასწავლებელი (17 უფროსი და 5 წამყვნი), სპეციალური მასწავლებელი -2 (მათ შორის 1 უფროსი), სსსმ პირი ასისტენტი - 3, ენისა და მეტყველების სპეციალისტი-1, ფსიქოლოგი -1, ბიბლიოთეკარი -1, დირექტორი 1, დირექტორის მოადგილე -1, საინფორმაციო მენეჯერი -1, საქმისმწარმოებელი - 1, ბუღალტერი -1, მტუკი- 1, მუშა - 1, დამლაგებელი 3, დარაჯი 2. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში „სსიპ - ქალაქ თბილისის N58 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები“ (ბრძანება N2-105. 9 ივნისი, 2023 წ. ცვლილება ბრძანებაში N2-160 , 30 აგვისტო 2023 წ) შემუშავებულია თითოეული პოზიციისათვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სკოლის მიერ წარმოდგენილი პერსონალის პირადი საქმეების შერჩევით გადამოწმებით დადასტურდა რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

   პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობით და გუნდური მუშაობის პრინციპებს. სკოლის მიერ შემუშავებული მისიის ხედვის, ღრებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით აღნიშნულ დოკუმენტზე მუშაობს სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღრული ჯგუფი, სკოლის მართვის საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს სკოლის სამეურვეო საბჭო, სასწავლო პროცესს მიკუთვნებულ საკითხებს განიხილავენ კათედრები და/ან პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, საჭიროების შემთხვევაში, იღებს საკუთარ უფლებამოსილებას მიკუთვნებულ გადაწყვეტილებებს.

   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.**

   სკოლის შინაგანაწესიდან და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტიდან იკითხება, რომ სკოლა ახდენს მასწავლებელთა წარმატებული გამოცდილების აღიარებას და ითვალისწინებს წახალისების მექანიზმებს, როგორიცაა: მადლობის სიგელი, ფასიანი საჩუქარი, პრემია და სხვა. წარმატებული გამოცდილების გაზიარება ხორციელდება კათედრის სხდომებზე, პედაგოგიურ საბჭოზე და სოციალურ ქსელში. სკოლაში მოქმედებს კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი

   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი (სამეურვეო საბჭოს ოქმი N7 შინაგანაწესის დამტკიცები თაობაზე. 7 სექტემბერი, 2022 წელი);
- შინაგანაწესის გაცნობის აქტი;
- „სსიპ - ქალაქ თბილისის N58 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები“ (ბრძანება N2-105. 9 ივნისი, 2023 წ. ცვლილება ბრძანებაში 2023 წლის 30 აგვიტო N2-160);
- სსიპ - ქალაქ თბილისის N58 საჯარო სკოლაში ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარებს წესი. (N2-149 ბრძანება. 28 ივნისი, 2019 წელი);
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სამუშაო დროის აღწერის ფორმა;
- დისციპლინური კომიტეტის ოქმი;
- მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;
- მისიის ხედვის, ღრებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები;
- კათედრებისა და პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები;

- **ბრძანება N 1/კ-45;**
- **შესაბამისობის გეგმა;**
- **ცნობები ნასამართლობის შესახებ სხვადასხვა კატეგორიის დანაშაულისათვის.**

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიზანს წარმოადგენს დასაქმებულთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება.

სკოლა ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზნით ახორციელებს თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას, რისთვისაც აფასებს თანამშრომლების ძლიერ და სუსტ მხარეებს, შესაძლებლობებსა და საფრთხეებს, რომლებმაც შესაძლოა, ზეგავლენა მოახდინონ თანამშრომლების საქმიანობაზე.სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული

მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ახდენს მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების დადგენას. იმავე მიზანს ემსახურება კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

დაწესებულება აცნობიერებს, რომ პროფესიული განვითარება ადამიანური რესურსების მართვის სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტია და შესაბამისად სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით პირველ ეტაპზე გეგმავს პროფესიული განვითარების მოთხოვნების იდენტიფიცირებას სამუშაოს კატეგორიის, ცალკეული ფუნქციის, თანამდებობრივი მოთხოვნებისა და ინდივიდუალური საჭიროებების ანალიზის საფუძველზე, ხოლო შემდგომ, გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად სხვადასხვა ღონისძიების შერჩევა/დაგეგმვას. სკოლის მიერ წარმოდგენილი ციფრული განვითარების გეგმის მიხედვით, სკოლამ გამოიკვლია მასწავლებელთა საჭიროება ტექნოლოგიებში და დაგეგმა სხვადასხვა შინაარსის ტრენინგების ჩატარება (გამოვლენილი საჭიროებებიდან გამომდინარე).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

სკოლა ეხმარება მასწავლებლებს განახორციელონ კარიერული წინსვლისთვის სჭირო აქტივობები. დროულად აწვდის ინფორმაციას ტრენინგებსა და სიახლეებზე. მიმდინარე სასწავლო წელს დირექტორმა წარადგინა 2 მასწავლებელი სტატუსის ამაღლებაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

დირექციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა დიდ ყურადღებას აქცევს ახალი თანამშრომლის ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. ახალი თანამშრომლის სწრაფად ადაპტაციისთვის სკოლა მას აცნობს სასკოლო გარემოს, კულტურას, სკოლის საქმიანობის მარეგულირებელ დოკუმენტაციას, წარუდგენს მასწავლებლებსა და მოსწავლეებს,ამატებს საკომუნიკაციო დახურულ ჯგუფში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

ბრძანება N2-163 (30 აგვისტო, 2023 წელი) დაწესებულებას განსაზღვრული აქვს სასკოლო საზოგადოების წევრების ინიციატივების მხარდაჭერის სქემა, რომლითაც განსაზღვრულია ფორმა, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს სასკოლო საზოგადოების (მათ შორის მასწავლებლების) მიერ ინიციატივების (ნებისმიერი ინიციატივის, მათ შორის პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული) წარდგენა. განსაზღვრულია ადრესატები .

შინაგანაწესით განსაზღვრულია პერსონალის წარმატებების აღიარება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სასკოლო საზოგადოების წევრების ინიციატივების მხარდაჭერის სქემა (ბრძანება N2-163. 30 აგვისტო, 2023 წელი);
- შინაგანაწესი;
- ციფრული განვითარების გეგმა.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად.**

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი ხარისხის უზურნველყოფის მექანიზმები (ბრძანება N2-161. 30 აგვიტო, 2023 წ), რომელიც არეგულირებს სკოლაში სწავლა/სწავლების, სასწავლო გარემოსა და პროცესის ხარისხის მართვას და ადგენს ხარისხის უზრუნველყოფის და განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს. წარმოდგენილი მექანიზმების მიზანია სწავლების ხარისხის

მონიტორინგი და მუდმივი სრულყოფა, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება. ხარისხის უზრუნველყოფა მოიცავს სასწავლო პროგრამების შეფასება-გაუმჯობესებას, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, მოსწავლის მხარდამჭერი მექანიზმების განვითარებას, სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესებას. სკოლაში დანერგილი შეფასების შიდა სისტემა ეფუძნება დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავთარე P-D-C- A ციკლს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლაში მიმდინარე საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი და დამხმარე პროცესები ერთ დოკუმენტად არ არის წარმოდგენილი, თუმცა სკოლის რეგულაციებში: შინაგანაწესში, სასკოლო სასწავლო გეგმაში, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში, ბიბლიოთეკის, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის, დამრიგებლის დებულებებში, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში, მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესში გაწერილია შესაბამისი საქმიანობის აღმწერი პროცესები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

სკოლას მიეცა რჩევა იდენტიფიცირება გაუკეთოს და აღწეროს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები ერთ დოკუმენტში

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

დაწესებულებას 2023 წლის 30 აგვისტოს N2-158 ბრძანებით განსაზღვრული აქვს განცხადების/საჩივრის წარდგენის წესი. კანონმდებლობითა და სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრული უფლების დარღვევის შემთხვევაში სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს შეუძლია გააკეთოს განცხადება სკოლის დირექტორის სახელზე. განსაზღვრულია განცხადების/საჩივრის შედგენის წესი/შემადგენელი აუცილებელი რეკვიზიტები, რეგისტრაციაში გატარების მოთხოვნა და განხილვის ვადები. განცხადება იწერება სკოლის დირექტორის სახელზე. სკოლის დირექტორის გადაწყვეტილება და მისი მოქმედება ან უმოქმედობა შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით სასამართლოში. დამატებით დაკონკრეტებულია მოსწავლეთა მხრიდან დაფიქსირებული საჩივრის წარდგენისა და განხილვის წესი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

დაწესებულებას შინაგანაწესით განსაზღვრული აქვს დასაქმებულისა და მოსწავლის დისციპლინური გადაცდომის განხილვაზე უფლებამოსილი ორგანო და დისციპლინური წარმოების წესი. მასწავლებლის მიმართ დისციპლინური წარმოება სკოლაში ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის №167/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის შესაბამისად. დასაქმებულთა დისციპლინური გადაცდომა შეიძლება განიხილოს ასევე დისციპლინურმა კომიტეტმა. დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველი კი შეიძლება იყოს: მოსწავლის, მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის, სკოლაში დასაქმებული პირის, უფლებამოსილი პირის, აგრეთვე, იმ პირის წერილობითი

მიმართვა ან ინფორმაცია, რომლის სამსახურებრივ მოვალეობასაც წარმოადგენს სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა. გაწერილია დისციპლინური დევნის/დისციპლინური წარმოების ვადები, შინაგანაწესის სხვადასხვა მუხლებით განსაზღვრულია თანამშრომლებისა და მოსწავლეების დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები. ბრძანებით განსაზღვრულია განცხადების/საჩივრის წარდგენის წესი.

სკოლის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტებზე მითითებულია აქტის გასაჩივრების ვადა და ადგილი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (ბრძანება N2-161, 30 აგვისტო.2023 წ.);
- დამრიგებლის მუშაობის დებულება (ბრძანება N2-143, 9 სექტემბერი, 2022 წელი);
- შინაგანაწესი;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- დისციპლინური კომიტეტის ოქმი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები

სკოლას ცალკეულ შიდა მარეგულირებელ აქტებში განსაზღვრული აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რაგირების მექანიზმები, რის დადასტურებასაც წარმოადგენს მისიის, ხედვის

ღირებულების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (ბრძანება N2-96, 7 ივნისი 2023 წ. ცვლილება ბრძანებაშიN2-162, 30 აგვისტო, 2023 წელი). სასკოლო საზოგადოების ჩართვას მოიაზრებს სასკოლო კურიკულუმი განვითარების მეთოდოლოგიაც. სკოლა მოსწავლეებთან და სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის იყენებს ელექტრონულ ფოსტას, სოციალურ ქსელს, სკოლის შენობის რეკრეაციულ სივრცეებს, სადაც აკრავს შესაბამის ინფორმაციას, სატელეფონო კავშირს, საკლასო ოთახებს პირისპირ შეხვედრების დასაორგანიზებლად. დამრიგებლების სასწავლო წლის დასაწყისში აცნობენ სადამრიგებლო კლასის მშობლებსა და მოსწავლეებს შინაგანაწესსა და სასწავლო პროცესთან დაკავშრებულ რეგულაციებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2.უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა უზრუნველყოფილია სკოლის სტრუქტურულ ერთეულებში მათი მონაწილეობით. სამეურვეო საბჭო, სკოლის მართვის უმაღლესი ორგანო, წარმოდგენილია მშობლებით, მასწავლებლებითა და მოსწავლეებით. მოსწავლეთა თვითმმართველობაში გაერთიანებული არიან საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები. პედაგოგიური საბჭო - მასწავლებელთა გაერთიანება, მონაწილეობს სასკოლო ცხოვრების მთელ რიგ გადაწყვეტილებების მიღებაში. კათედრები - კათედრის დონზე გადაწყვეტილებები მიღების პროცესში არიან ჩართული.
დისციპლინური კომიტეტსა და მრჩეველთა საბჭოში ასევე დაცული წარმომადგენლობითობის პრინციპები რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობას სასკოლო ცხოვრების მნიშვნელოვან ასპექტებში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მისიის, ხედვის ღირებულების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (ბრძანება N2-96, 7 ივნისი 2023 წ. ცვლილება ბრძანებაშიN2-162, 30 აგვისტო, 2023 წელი);
- კურიკულუმის განვითარებისს ის მეთოდოლოგია (ბრძანება N2-157, 39 აგვისტო, 2023 წელი);
- ოქმები (პედსაბჭო, კათედრა. მრჩეველთა საბჭო)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლაში განსზღვრულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი (ბრძანება 1/კ-49. 9 სექტემბერი, 2022 წელი). სკოლას აქვს სკოლის ტერიტორიაზე შემოსულ პირთა აღრიცხვიანობის სისტემა. სკოლის ტერიტორია შემოღობილია და შეზღუდულია სკოლის ეზოში ავტომობილების გადაადგილება. სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური წარმოდგენილი - 2 მანდატურით. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, სკოლის დაცვას უზრუნველყოფს 2 დარაჯი. სკოლას აქვს სათანადოდ აღჭურვილი ექიმის კაბინეტი და გაწერილია ექიმის ფუნქციები, **თუმცა ექიმი/ექთანი არ ჰყავს.** გამოცხადებულია ვაკანსია ექიმის პოზიციაზე. **სკოლას არ აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ (სკოლამ წარმოადგინა სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების 2019 წლის 17 ივნისის მიწერილობა N774 სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრაზე, რომელიც არ აქვს შესრულებული). არ აქვს დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ. არ აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებულ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.**

დაწესებულებას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტი

სკოლას მიეცა რჩევა უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტის აყვანა

არგუმენტირებულ პოზიციაში დაწესებულებამ წარმოადგინა ექიმთან გაფორმებული ხელშეკრულება,

შენობის მდგრადობასთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 27/09/2023 წლის კორესპონდენციით 5006262123 მიღებული დასკვნა N 006590123 რომელშიც ნათქვამია, რომ „ქ. თბილისში შალვა ღამბაშიძის ქ.N3გ-ში მდებარე N58 - ე საჯარო სკოლის სასწავლო კორპუსის ტქნიკური მდგომარეობა მთლიანობაში შეიძლება შეფასებული იქნას როგორც არადამაკმაყოფილებელი, რასაც განაპირობებს ეზოს მხრიდან მარცხენა ფლიგელი, რომელიც ფაქტიურად ავარიულია და ექსპლოატაციას არ ექვემდებარება. მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნული მონაკვეთის დემონტაჟი და ახლის აშენება დამუშავებული პროექტის მიხედვით სეისმური ნორმების შესაბამისად. სასწავლო კორპუსის დანარჩენი ნაწილის ექსპლუატაცია შესაძლებლია შესაბამისი შეზღუდვების გათვალისწინებით. მიშენებული ფლიგელის ტექნიკური მდგომარეობა, მიუხედავად ცალკეული ხარვეზებისა დამაკმაყოფილებელია და ექსპლუატაციისათვის ვარგისია“. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორთან, ბატონ ლევან სუხიტაშვილთან მიწერილი წერილი N MES 5 23 0001298708 (04.10. 2023 წ) რომელშიც ის ატყობინებს შენობის მდგომარობას და სთხოვს მიაწოდოს ინფორმაცია როდის იქნება შესაძლებელი სკოლის ავარიული ნაწილის გამაგრებითი სამუშაოების სააგენტოს გეგმაში გათვალისწინება და ასევე ითხოვს კონსულტაციას „შესაბამისი შეზღუდვების გათვალისწინების“ თაობაზე“.

სკოლა, წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დახმარებით 1 წლის ვადაში გეგმავს აღნიშნული პრობლემის გადაჭრას. რისკს აფასებს 30%-ით. ექსპერტთა ჯგუფმა ამ ნაწილში არ გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგნილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მოცემული პირობები და ინდიკატორის შეფასება არ შეცვალა ვინაიდან არ არის დაზუსტებული თუ რას გულისხმობს შენობის შეზღუდვით გამოყენება და არც სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს გეგმა/გადაწყვეტილებაა ცნობილი აღნიშნულ სკოლასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება **უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებულ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმას და** სახანძრო უსაფრთხოების **მოთხოვნების დაკმაყოფილებას ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მოცმული პირობები.**

ინდიკატორი არაა დაკმაყოფილებული

2. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 9 სექტემბრის N1/კ-49 ბრძანებით განსაზღვრულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი. სკოლაში საზოგადოებრივ წესრიგს ასევე უზრუნველყოფენ სკოლის დარაჯები, მანდატურები, მორიგე პედაგოგები. სკოლის შესასვლელში შენობაში უცხო პირთა გადაადგილებას და შესაბამის რეესტრს აწარმოებს შესაბამისი პირი. დაწესებულებაში ფუნქციონირებს სტრუქტურული ერთეული-მრჩეველთა საბჭო, რომლის კომპეტენციებშია სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სხვადასხვა რეკომენდაციების შემუშავება და სკოლის დირექტორისთვის წარდგენა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას ხელს უწყობენ საპილოტე პროგრამაში მონაწილ სოც. მუშაკი, ფსიქოლოგი, სპციალური მასწავლებლები, მანდატურები, კლასის დამრიგებლები (რომელთა ვალდებულებებშიც შედის დირექციასთან ერთად მოსწავლეებთან საინფორმაციო კამპანიის წარმოება თემებზე: ბულინგი და ოჯახში ძალადობა, დისკრიმინაცია

და კიბერბულინგი და სხვა). სკოლაში არსებობს სოციალიზაციისათვის განკუთვნილი მოსწავლეების მეგობრული თავშეყრის ადგილები (მოსწავლეების მიერ მოწყობილი ეზო). შესაბამისად, გაზრდილია მოსწავლეთა სოციალური შეჭიდულობის მაჩვენებელი. გაკვეთილზე მოსწავლეს ღიად შეუძლია პრობლემებსა და გამოწვევებზე საუბარი, ასევე მიღწევების გაზიარება, რაც მხარდაჭერილია და არ ქმნის დისკრიმინაციისა და გარიყვის საფუძველს, გაზრდილია მოსწავლეთა თვითგამოხატვის მაჩვენებელი. სკოლაში მოქმედებს რეფერირების სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა, სანიტარული ნორმების დაცვას უზრუნვლყოფენ დამლაგებლები,შესაბამისი ჰიგიენური საშუალებების მომარაგებაზე პასუხისმგებელია მატარიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი. ჰიგიენური საშუალებები ინახება სპციალურად მისთვის განკუთვნილ სათავსოში . დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება (N4/1. 09.01.2023 წ) შპს აქვაპოინტთან. ხელშეკრულების საგანია სადეზინფექციო სამუშაოების წარმოება. შექმნილია სანიტარული კვანძების დასუფთავების აღრიცხვის ჟურნალი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლა პერსონალური მონაცემების დაცვისას ხელმძღანელობს სკოლის შიდა აქტით „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“ (ბრძანება N2-102, 8 ივნისი, 2023 წელი). სკოლის მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი წესი და მონიტორინგის მექანიზმები აყალიბებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს. განსაზღვრულია მონაცემთა დაცვის პრინციპები, პერსონალური მონაცემების დამუშავება, პერსონალური ინფორმაციის ჩამონათვალი, რომელიც მუშავდება სკოლაში, დამუშავებული ინფორმაციის გამოყენების მიზნები, პერსონალური მონაცემების დაცვის საშუალებები. სკოლას განსაზღვრული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი (ბრძანება N2-103, 8 ივნისი 2023 წელი). მოსწავლეთა/დასაქმებულთა პირადი ინფორმაციის დამუშავების უფლება სკოლას მოპოვებული აქვს მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან და პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებებით.

სკოლაში ვიზიტის დროს გადამოწმებით დადგინდა, რომ მოსწავლეთა და მასწავლებელთა პირადი საქმეების დაცულია კარადებში და ხელმისაწვდომობა შეზღუდულია, სკოლაში ვიზიტორთა პერსონალური ინფორმაციის დამუშავება შესაბამისობაშია დადგენილ წესთან, სსსმ მოსწავლის პირადი ინფორმაცია დაცულია, სკოლდან გადასული მოსწავლს შემთხვევაში ხდება მისი პირადი საქმის ასლის გადაღება.

სკოლაში, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო ისტემა და სსიპ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფენ ელექტრონული ინფორმაციის დაცვას არაავტორიზებული წვდომის და დაზიანებისგან. ასევე, მონაცემთა ბაზების იმგვარ ადმინისტრირებას, რომ ინფორმაცია ყველა მოსწავლესა და აკადემიურ პერსონალს მიეწოდოს ინდივიდუალურად. ელექტრონულ ბაზაში (eschool.emis.ge) მოსწავლეების/მშობლების/თანამშრომლების მონაცემებზე წვდომის უფლებამოსილება აქვთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს: სკოლის დირექტორს, საქმისმწარმოებელს და საინფორმაციო მენეჯერს. ბაზებში არსებული მონაცემების შემოწმება/გამოყენება

ხდება მხოლოდ სამსახურეობრივი მიზნით, სკოლის საქმიანობიდან გამომდინარე, უფლებამოსილი პირის მიერ, მაგალითად: მოსწავლის მობილობის დროს ან მასწავლებლის საათობრივი დატვირთვის შემოწმების დროს. უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა კანონიერი დამუშავების უზრუნველყოფის მიზნით, ხორციელდება მისი საქმიანობის პერიოდული მონიტორინგი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

„ პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“ (ბრძანება N2-102, 8 ივნისი, 2023 წელი). განსაზღვრავს სკოლაში არსებული/დამუშავებული ინფორმაცის დაცვის მექანიზმებს, მათ შორის პერსონალური მონაცემების დაცვას:

- ელექტრონული პროგრამის (Teams) გამოყენების შემთხვევაში;
- ელექტრონული ჟურნალის წარმოების შემთხვევაში;
- ვიდეოთვალთვალის განხორციელებისას;
- შენობაში შესვლისა და გასვლის აღრიცხვისას;
- ელექტრონული ფოსტისა და ტელეფონის ნომრის გამოყენებისას;
- მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმის წარმოებისას;
- ელექტრონული ბაზის წარმოებისა;
- ვაკანსიების პორტალზე სკოლის გვერდის მართვისას;
- და სხვა

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

7. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

დაწესებულება ახორციელებს ადამიანებისა თუ პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას. დირექციის განმარტებით, მონიტორინგის მიზნით, სკოლა იყენებს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის ფორმებს. სკოლაში რეგულარულად ტარდება მრჩეველთა საბჭოს სხდომები, სადაც გარკვეული სიხშირით განიხილება უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის (ბრძანება 1/კ-49. 9 სექტემბერი, 2022 წელი) განსაზღვრის ბრძანება;
- უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის ბრძანება (N1/კ-49 . 9 სექტემბერი, 2022 წ.);

- მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზა;
- დამრიგებლის დებულება;
- ხელშეკრულება (N4/1. 09.01.2023 წ) შპს აქვაპოინტთან;
- „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“ (ბრძანება N2-102, 8 ივნისი, 2023 წელი);
- „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“ (ბრძანება N2-102, 8 ივნისი, 2023 წელი);
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის (ბრძანება N2-103, 8 ივნისი 2023 წელი) განსაზღვრის ბრძანება;
- მრჩეველთა საბჭოს ფორმირების ბრძანება;
- მრჩეველთა საბჭოს სხდომების ოქმები;
- დამლაგებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით სკოლა**

საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით სკოლა მდებარეობს თბილისში, შალვა ღამბაშიძის ქუჩა N3გ-ში. დაზუსტებული ფართობი 1556.00 კვ.მ. N1 და N2 შენობების საერთო ფართი - 1954 კვ.მ და N3 შენობის ფართია - 12.54კვ.მ. სკოლის სენობა სამსარულიანია. სკოლაში არის სულ 14 საკლასო ოთახი, 1 სააქტო დარბაზი, სპორტული დარბაზი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, კომპიუტერული კლასი, ბიბლიოთეკა (სამკითხველო და საცავი), საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიბის კაბინეტები, ექიმის კაბინეტი, რესურს ოთახი, სამასწავლებლო, ოთახები დირქციისთვის. სივრცე ბუფეტისათვის, მანდატურის ოთახი, საცავი ჰიგიენური საშუალებებისათვის, სველი წერტილი 3-3 გოგონებისა და ვაჟებისათვის, 1 პერსონალის , 1 შშმ პირებისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;**

მოსწავლეებისთვის სკოლაში არსებობს რეკრეაციული სივრცეები (დერეფანი, ეზო, ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი, კომპიუტერული კლასი) სხვა მოსწავლეებთან ან მასწავლებლებთან კომუნიკაციისთვის. სკოლის ბიბლიოთეკით, კომპიუტერული ლაბორატორიით, სპორტული დარბაზით - სარგებლობიის საშუალება აქვს სასკოლო საზოგადოებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის გარემო არ არის ინკლუზიური. სკოლას არ აქვს ლიფტი და/ან პანდუსი, რომლითაც სკოლის შენობაში მოხვედრილი შშმ პირი შეძლებს სკოლის სივრცეში (ლაბორატორიები და ბიბლიოთეკა განთავსებულია მეორე-მესამე სართულებზე) გადაადგილებას. სკოლაში არის1 სველი წერტილი შშმ პირებისათვის.

დაწესებულებამ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნვლყოფის გეგმით სკოლაში პანდუსის ან ლიფტის მოსაწყობად განსაზღვრა პერიოდი 2024 წლის 8 აგვისტომდე და მტკიცებულებად წარმოადგინა სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის

განვითარების სააგენტოს დირექტორთან ბატონ ლევან სუხიტაშვილთან გაგზავნილი წერილი MES 8 23 0001321425 (06.10.2023 წ) კომპეტენტური პირის გამოყოფის თაობაზე, რომლიც კონსულტაციას გაუწევს სკოლას პანდუსის ან ლიფტის მოწყობაზე. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული პერიოდი მიიჩნია რელევანტურად სკოლის პრობლმის გადაჭრისათვის და გაიზიარა სკოლის პოზიცია. შესაბამისად 3.5.კომპონენტის შეფასება არ შეესაბამება შეცვალა შეფასებით მეტწილად შეესაბამება.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;

სკოლის ინფრასტრუქტურა (სპორტული და სააქტო დარბაზები, სკოლის ეზო, ბიბლიოთეკა), ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები, საინტერესო პროექტები, მოაწყონ შეხვედრები ერთმანეთთან, სასკოლო საზოგადოებისა და თემის სხვა თანატოლ თუ ზრდასრულ წარმომადგენლებთან, მათთვის საინტერეო ადამიანებთან.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები: მერხი და სკამი 443 კომპლექტი, პრინტერი 7, პროექტორი 3.

სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია (ბუნებრივი განიავების შესაძლებლობით), თუმცა არ არის **აღჭურვილი გამწოვი სისტემით.** ლაბორატორიაში დამონტაჟებულია ერთი სველი წერტილი. კარადებში განთავსებულია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის) ლაბორატორიული აღჭურვილობა. ქიმიური რეაქტივები მარკირებულია და განთავსებულია უსაფრთხოების წესის დაცვით. კომპიუტერული კლასი აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკთ. სკოლის ბიბლიოთეკაში დაცულია 5572 ერთული მხატვრული ლიტერატურა და სახელმძღვანელოები ყველა მოსწავლისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

სკოლას მიცა რჩევა სკოლის ლაბორატორია უზრუნველყო გამწოვი სისტემით

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- წიგნადი ფონდის რეესტრი;
- მიღება-ჩაბარების აქტები;
- ინვენტარიზაციი დოკუმენტაცია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

   ადმინისტრაციული პროცესის სრულყოფლილად წარმართვისათვის მუშა მდგომარეობაში აქვს კომპიუტერული ტექნიკის საკმარისი რაოდენობა. დირექციისა და ადმინისტრაციისათვის (დირექტორი, საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი, დირექტორის მოადგილე, ბიბლიოთეკარი, ექიმი) განსაზღვრული თითო ერთეული კომპიუტერული ტექნიკა, მოწავლეებისათვის განკუთვნილი კომპიუეტრული ტექნიკის რაოდენობაა - 11 სამაგიდო კომპიუტერი, 12 ნოუთბუქი. დაწყებითი კლასების მასწავლებლებს აქვთ 5 ბუკი. შენობის სამივე სართულზეა ვაიფაის როუტერები, შესაბამისად ინტერნეტთან წვდომა თავისუფალია.

   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.**

დაწესებულება უზრუნველყოფს კომპიუტერების და შესაბამის მომსახურების ხელმისაწვდომობას, როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე პერსონალისთვის. დაწესებულების მიერ მოწყობილია კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სამუშაო საზიარო სივრცე (კომპიუტერული ლაბორატორია) ადმინისტრაციისათვის, მასწავლებლებისათვის და მოსწავლეებისთვის. ნოუთბუქებით სარგებლობა როგორც მოსწავლეებს, ისე მასწავლებლებს შეუძლიათ საკლასო ოთახებშიც.სკოლა საზიარო ციფრულ სივრცეების მოწყობას გეგმავს ასევე სამასწავლებლოში და ბიბლიოთეკაში. რაც გაზრდის ხელმისაწვდომობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია;
- ციფრული განვითარების გეგმა.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

დაწესებულებაში ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა ბრძანება N 2-104 (09.06.2023), რომლითაც დამტკიცებულია სსიპ - ქალაქ თბილისის N58 საჯარო სკოლის საქმისწარმოების წესი. საქმისწარმოების წესი შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით და ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობით საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. სკოლაში დასაქმებულია საქმიმწარმოებელი, რომელიც უზრუნველყოფს შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების შესრულებას დადგენილი საქმისწარმოების დებულების მიხედვით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას Eflow, eschool, Office 365, Gmail, ელექტრონული ჟურნალი. სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის გამოყენებული აქვს სხვადასხვა ჯგუფები სოციალურ ქსელში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3.სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

სკოლას აქვს eschool.emis.ge-ს ერთიანი ბაზის სისტემა, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. აღნიშნულ ბაზაში მუშაობს სკოლის საქმისმწარმოებელი. მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი წარიმართება eschool-ის სისტემის მეშვეობით. ინფორმაციის და კორესპოდენციის მისაღებად სკოლაში გამოიყენება ელექტრონული ფოსტა

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლა სრულად, კანონმდებლობის შესაბამისად თანამშრომლობს მარეგულირებელ უწყებებთან, დროულად აწვდის მათ ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას. არაუგვიანეს 10 დეკემბრისა სკოლის დირექტორი ფინანსური და სასწავლო პროცესის შესახებ ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N 2-104 (09.06.2023), სსიპ - ქალაქ თბილისის N58 საჯარო სკოლის საქმისწარმოების წესი;
- შემოსული და გასული კორესპონდენცია;
- სამეურვეო საბჭოს ოქმები.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**
   სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას სკოლის ბლოგით http://58-skola.blogspot.com/ და სოც. ქსელით https://www.facebook.com/58publicschool/?locale=ka_GE
   ვიზიტის პერიოდში სკოლას ვებგვერდი არ ჰქონდა.
   სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა სკოლის ვებგვერდის მისამართი. ვბგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო ფუნქციას. შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა შეფასება არ აკმაყოფილებს ინდიკატორს შეცვალა შეფასებით აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნას.
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას
   სკოლას გამოყოფილი ჰყავს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი (ბრძანება N1/კ-44, 1 ნოემბერი 2020 წელი) ამასთან ინფორმაციის გაცვლა ხდება ეფლოუთი და ოფიციალური მეილით რომელზე წვდომაც შეზღუდულია. შესაბამისად ყველა ინფორმაცია რაც გადის სკოლიდან არის სანდო და უტყუარი.
   ინდიკატორი მოთხოვნა დაკმაყოფილებულია
3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**
   საზოგადოებასთნ საკომუნიკაციოდ გამოყენებულია თიმსი, ელექტრონული ჟურნალი, სციალური ქსელი. ასევე სკოლა აწარმოებს პერიოდულად დაინტერესებულ ჯგუფების გამოკითხვას, გამოკითხვის შედეგებს ამუშავებს და მიღებულ ინფორმაციას ითვალისწინებს საქმიანობის დაგეგმვისას.
   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას
   სკოლას არ ჰქონდა ვებგვერდი
   არგუმენტირებულ პოზიციის წარმოდგენისას სკოლამ წარმოადგინა ვებგვრდის მისამართი. სკოლას ინფორმაცია ვებგვრდზე განთავსებული აქვს ქართულად. შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა შეფასება არ აკმაყოფილებს ინდიკატორს შეცვალა შეფასებით აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნას.
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია
   სკოლას ვებგვერდი არ ჰქონდა
   არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლამ წარმოადგინა ვებგვერდი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას სკოლის შესახებ: საკონტაქტო ინფორმაცია, მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები და სხვა.
   ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები მიმდინარე ეტაპზე დაწესებულებას ვერ ექნება შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა შეფასება არ აკმაყოფილებს ინდიკატორს შეცვალა შეფასებით აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნას.

.დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- http://58-skola.blogspot.com/ ;
- https://www.facebook.com/58publicschool/?locale=ka_GE;
- საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის (ბრძანება N1/კ-44, 1 ნოემბერი 2020 წელი) დანივნის ბრძანება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

დაწესებულებას ვიზიტის დროს სამოქმედო გეგმა არ წარმოუდგენია შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდა.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა სკოლის ფინანსური რესურსით ერთწლიანი სამოქმედო გეგმის განხორციელების შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულება არსებული ბიუჯეტის ფარგლებში შესაძლებელია. აქედან გამომდინარე ინდიკატორი დაკმაყოფილდა.

2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.სკოლას აქვს ბიუჯეტი რომელსაც ამტკიცეს კანონმდებლობის შესაბამისად, პერეიოდულად ახორციელებს ბიუჯეტის მონიტორინგს, საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილებებიდა ყოველი წლის დეკემბერში სკოლის დირექტორი აბარებს ანგარიშს სამეურვეო საბჭოს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023 წლის ბიუჯეტი;
- სამეურვეო საბჭოს სხდომი ოქმები (ბიუჯეტის დამტკიცებაზე და ანგარიშის მოსმენაზე)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას უზრუნველყოფს სკოლის შინაგანაწესი (შემუშავებული და შეთანხმებული სასკოლო საზოგადოებასთან და დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ), რომელშიც გაწერილია მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები, წახალისებისა და დასჯის წესი. სკოლას შემუშავებული აქვს ასევე გასაჩივრების წესი (ბრძანება N2-158, 30 აგვისტო, 2023 წელი), რომლითაც დაკონკრეტებულია თუ ვის, რა ფორმით და რა ვადაში უნდა მიმართოს მოსწავლემ, თუ კი ჩათვლის რომ დაირღვა მისი კანონით გათვალისწინებული უფლებები. მოსწავლეებისათვის მათი უფლებების (შინაგანაწესი) გაცნობა არის დამრიგებლის მოვალეობა. სსსმ მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა დამატებით რეგულირდება „სსსმ მოსწავლეებისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციებით“ (ბრძანება N2-159, 30 აგვისტო, 2023 წელი), მოსწავლეები ჩართულები არიან დაწესებულებაში გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსწავლეთა თვითმმართველობის საშუალებით, (მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომის ოქმი N1, 18 .10.2022 წ). სკოლას ჰყავს სპეციალური მასწავლებლები და სსსმ პირების ასისტენტები, ფსიქოლოგი, მანდატურები, რომლებიც კლასის დამრიგებლებთან და მთლიანად სასკოლო საზოგადოებასთან ერთად ზრუნავენ მოსწავლეების კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2.მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა (რომლის შემადგენელი ნაწილიც არის ინკლუზიური განათლება), ცხელი ხაზის ტელეფონის ნომრები, გასაჩივრების წესი და სხვადასხვა შიდა რეგულაციები გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ყველა რეგულაცია, რომელსაც სკოლა განსაზღვრას იქნება ატვირთული სკოლის ვებგვერდზეც.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3.მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. გაწერილია ორივე მხარი უფლება-მოვალეობები, პერსონალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომის ოქმი N1, 18 .10.2022 წ;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

   დაწესებულებას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების წესი (ბრძანება N2-155, 30 აგვისტო, 2023 წელი). წარმოდგენილი წესი შესაბამისობაშია განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებებთან: N40/ნ (ეროვნული სასწავლო გეგმა), N04/ნ (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ). დოკუმენტში დაზუსტებულია მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების პროცედურები.

   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

   სკოლაში ვიზიტისას გადამოწმდა სკოლის მიერ მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების პროცედურები და მოსწავლეთა პირადი საქმეები. სკოლას რეგულაციები დაცული აქვს.

   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

   სკოლა ახორციელებს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით მომსახურებას გახანგრძლივებული სწავლების წრის სახით. წრის მომსახურებაზე ინფორმაცია და ასვე დადგენილი საფასური ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის, ინფორმაცია განთავსებულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე. კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობას, რაც ასევეე უზრუნველყოფს პროგრამების საჯაროობას. **ს**კოლას შემუშავებული აქვს დამრიგებლის დებულება (ბრძანება N2-143, 9 სექტემბერი, 2022 წ), რომელშიც გაწერილა დამრიგებლის ფუნქციები, სადაც ერთ-ერთ ვალდებულებად გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმის, შინაგანაწესის და სასწავლო პროცესის მარეგულერებელი დოკუმენტების გაცნობა მოსწავლეებისა და მათი კანონირი წარმომადგენლებისთვის. სკოლის დამრიგებლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია მშობლებთან შეხვედრები და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სკოლის სოციალური ქსელის გვერდზე საკმაოდაა ინფორმაცია აქტივობების შესახებ. განთავსებული ინფორმაცია გამჭვირვალეა და არ შეიცავს რაიმე ფორმის მადისკრიმინირებელ ინფორმაციას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა წესი (ბრძანება N2-155, 30 აგვისტო, 2023 წელი);
- დამრიგებლის დებულება (ბრძანება N2-143, 9 სექტემბერი, 2022 წელი) .

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

   სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის 12 ივნისის N2-108 ბრძნებით დამტკიცებული „სსიპ - ქალაქ თბილისის N58 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“. აღნიშნული წესის მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას და გააადვილოს სასკოლო პროცესში პირველკლასელთა და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობა. ამასთან, აღნიშნული წესი შესაძლოა გამოყენებულ იქნას იმ მოსწავლეების ადაპტაციის პროცესის გასამარტივებლად, რომელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართვას ართულებს ენობრივი ბარიერის არსებობა ან მოსწავლეს გააჩნია სასკოლო პროცესთან ადაპტირების პრობლემა.

   წარმოდგენილ წესში განხილულია დეზადაპტაციის ნიშნები და დეზადაპტაციის პროცესისას განსახორციელებელი ღონისსძიებები. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით განსაკუთრებული როლი ენიჭება მშობლის და დამრიგებლის ჩართულობას დეზადაპტაციის პროცესის დასაძლევად მიმართულ ღნისძიებებში. აქვეა განხილული წარმატებული ადაპტაციიის ნიშნები და კონკრეტული აქტივობები პირველკლასელთა, სსსმ მოსწავლეთა, საბაზო/საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ადაპტაციის ხელშესაწყობად. მოსწავლეთა ადაპტაციის პროცესში აქტიური როლი ენიჭება ფსიქოლოგს. სკოლა ვალდებულებას იღებს უზრუნველყოს მოსწავლეთა ადაპტაციის წესის გაცნობა სკოლაში დასაქმებული პირებისათვის. სკოლა, საჭიროების შემთხვევაში, ყველა დაინტერესებულ პირს განუმარტავს მოსწავლეთა ადაპტაციის პრინციპებს.

   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.**

   სკოლის მიერ წარმოდგენილ მოსწავლეთა ადაპტაციის წესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობა სწავლის დაწყების (პირვლ კლასში ჩარიცხვა, მობილობა) მომენტიდან. აღნიშნული რეგულაციის პრაქტიკაში გამოყენება მიმდინარე წარმოების ფარგლებში ვერ შეფასდება

   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

   დამრიგებელს ფუნქცია - მოვალეობებში გაწერილი აქვს მოსწავლის დახმარება პრობლემების, მათ შორის აკადემიური პრობლემების გადაჭრაში, ხელშეკრულებით მასწავლებლებს განსაზღვრული აქვთ დამატებითი მომსახურების განხორციელება, იმ მოსწავლეებთან, რომლებსაც ესაჭიროებათ აღნიშნული ტიპის მომსახურება. დაწესებულების წარმომადგენლებთან

გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები მოსწავლეებს აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისთვის უწევენ კონსულტაციებს, კერძოდ მოსწავლეებისთვის ტარდება დამატებითი შეხვედრები და მიეწოდებათ სხვადასხვა რესურსი

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

   სკოლა მოსწავლეებს უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. კრძოდ, სკოლა ადმინისტრირებას უწევს საშემოდგომო, სემეტრულ გამოცდების კანონმდებლობის შესაბამისად ჩატარებას და მოსწავლეთა შესაბამის მხარდაჭერას (დროულად ინფორმირება, კონსულტირება), ექსტერნატის ფორმით განათლების მიღებას. ადგენს ჩასაბარებელი გამოცდების განრიგს, ქმნის კომისიას და ინფორმაციას აწვდის მშობელს აღნიშნულის შესახებ დამრიგებლების მეშვეობით. კონკურსებისა და ოლიმპიადებისთვის მოსწავლეთა მოსამზადებლად, მასწავლებლები დამატებით მეცადინეობებს უტარებენ ბავშვებს და ეხმარებიან ცოდნის გამყარებაში.

   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

   სკოლის მიზანია მოსწავლეებისათვის ფორმალური საგანმანათლებლო პროცესის მიღმა, არაფორმალური განათლების აქტივობების განხორციელება. ეს ძირითადად დამატებითი, არაფორმალური, ანუ სასწავლო პროგრამის მიღმა განხორციელებული აქტივობების დაგეგმვის ან ინიციატივათა მხარდაჭერის გზით ხორციელდება. სკოლას აქვს კარგი გამოცდილება პროფესიული კოლეჯებთან თანამშრომლობის. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში პროფესიული კოლეჯების წარმომადგენლები, პროფესიული მასწავლებლები (მემორანდუმების საფუძველზე) მუშაობდნენ მოსწავლეებთან პროფესიული უნარების განვითარებაზე. სკოლაში არაფორმალური განათლების მიმართულებით იგეგმება და ხორციელდება ღონისძებები და პროექტები, რომელთა ინიციატორებიც არიან მასწავლებლები და/ან სკოლის მოსწავლეები. არაფორმალური აქტოვობების ინიციატორები არიან ასევე მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრები.

   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.**

   სკოლის პრაქტიკაა კითხვარების საშუალებით სასკოლო საზოგადოების, მშობლების ინტერესების დადგენა და შესაბამისი მომსახურების მიწოდება რასაც ადასტურებს სკოლის მიერ უცხოური ენების საზაფხულო სკოლის ორგანიზება მშობელთა ინტერესების გათვალისწინებით.

   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დამრიგებლის დებულება (ბრძანება N2-143, 9 სექტემბერი, 2022 წელი) .
- მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- ექტერნის, საშემოდგომო, წლიური გამოცდების დანიშვნის, შესაბამისი კომისიების შექმნის და სხვა ბრძანებები

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვისა და პროფსიული ორიენტაციის მომსახურება გახადოს ხელმისაწვდომი ყველა მოსწავლისათვის. ამისთვის სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი აღმოსავლეთ ევროპის და ევროპის უნივერსიტეტებთან, მემორანდუმის საგანს წარმოადგენს მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობა, რომელიც მიმართული იქნება როგორც უნივერსიტეტის სტუდენტთა და მკვლევართა, ასევე სკოლის მოსწავლეებისა და მასწავლებლების საგანმანათლებლო და პროფესიული განვითარებისაკენ. სკოლას აქვს კარგი პრაქტიკა, რომლიც გამოიხატება არაფორმალური განათლების (სასკოლო პროექტი „მე ვირჩევ პროფესიას“) ფარგლებში, სხვადასხვა პროფესიაში წარმატებული ადამიანების სკოლაში მოწვევასა და მოსწავლეებისათვის მათი პროფესიის გაცნობაში, „სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების პროგრამაში“ მონაწილეობაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით ინტერვიუებისას**

დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში, ტრადიციულად, მოსწავლეებს მიეწოდებათ აქტუალური ინფორმაცია როგორც საბაზო, ასევე საშუალო საფეხურის დასრულების შემდგომ არსებული კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. კრძოდ,

სკოლა ორგანიზებას უწევს უნივერსიტეტების წარმომადგენლებისა და სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან შეხვედრებს საშუალო საფეხურის და მე-9 კლასის მოსწავლეებთან, რათა მათ შეძლონ სწორი არჩევანის გაკეთება მომავალი პროფესიის შერჩევისას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

სკოლაში არსებული პრაქტიკის მიხედვთ სკოლა (დამრიგებლები) სასწავლო წლის ბოლოს ატარებენ გამოკითხვას მოსწავლეებში მათი ინტერესების შესახებ და ისე გეგმავენ მომდევნო სასწავლო წელს განსახორციელებელ აქტივობებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კითხვარების ანგარიში;

- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებული ევროპის უნივერსიტეტსა და სკოლას შორის;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებული აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტსა და სკოლას შორის;
- მემორანდუმები ა(ა)იპ კოლეჯ იკარუსთან, სსიპ-კოლჯ მერმისთან.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი

დაწესებულებამ წარმოადგინა სსსმ მოსწავლეებისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები (ბრძანება N2-159, 30მაგვისტო, 2023 წელი). წარმოდგენილი დოკუმენტი ითვალისწინებს, როგორც იდენტიფიცირებულ სსსმ მოსწავლესთან მუშაობის რეგულაციებს, ასევე მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებულ პირველადი სირთულეების მართვას, შიდა მონიტორინგს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

სკოლაში ვიზიტის პერიოდში ფიქსირდებოდა 19 სსსმ მოსწავლე. მათთვის გამოყოფილა რესურს ოთახი და დაცულია ყველა რეგულაცია, რომელიც განსაზღვრული აქვს სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით და სსსმ მოსწავლეებისათვის საგანმანათლებლო

სერვისების მიწოდების რეგულაციებით. შექმნილია ისგ ჯგუფები, შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მუშაობს ისგ ჯგუფი და მონიტორინგს ჯგუფი. სსსმ მოსწავლეებთან მუშაობს ფსიქოლოგი, 2 სპეციალური მასწავლებელი და 3 სსსმ პირის ასისტენტი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსსმ მოსწავლეებისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები (ბრძანება N2-159, 30მაგვისტო, 2023 წელი);
- განათლების მარრთვის საინფორმაციო სისტემა;
- ინდივიდუალური გეგმები;
- ინკლუზიურ განათლებაზე განხორციელებული შიდა მონიტორინგის დასკვნა.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სკოლას იჯარით აქვს გაცემული ფართი კალათბურთის წრის ფუნქციონირებისთვის, რომელიც ხელმისაწვდომია სკოლის მოსწავლეებისთვის. მომსახურება ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მოპოვების შემდეგ. სკოლაში ფუნქციონირებს ასევე გახანგრძლივებული სწავლების ფასიანი წრე. აღნიშნული წრეებით სარგებლობის პირობები ცნობილია მოსწავლეებისთვის და მათი ფუნქციონირება შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების (გახანგრძლივებული სწავლების წრე) გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარებას. სკოლას ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან. ხელშეკრულების საგანია მოსწავლისათვის გახანგრძლივებული წრის სახით დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების გაწევა შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ. განსაზღვრულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, სწავლების ღირებულება და ანაზღაურების პირობები, მხარეთა პასუხისმგებლობა, ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები, დავების განხილვის წესი, ფორსმაჟორი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენება და დამატებითი პირობები.

რაც შეეხება კალათბურთის წრეს, დაწესებულებას მაკონტროლებელ ორგანოებთან კანონმდებლობის შესაბამისად, შეთანხმებული აქვს სკოლის ფართის იჯარის ფორმით დროებითი სარგებლობაში გადაცემა. აღნიშნულ წრეების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. ინფორმაცია განთავსებულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე, მშობელს აქვს არჩევანის საშუალება მიიღოს გადაწყვეტილება ფასიან მომსახურებათან დაკავშირებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3.შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს

კალათბურთის წრით (რომელიც ფუნქციონირებს სკოლის მიერ იჯარით გაცემულ ფართში) და გახანგრძლივებული სწავლების წრით სარგებლობა სკოლის მოსწავლეებისათვის ნებაყოფლობითია და ის ხორციელდება დაწესებულებაში არსებული უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით. მოიჯარესთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით მეიჯარე იტოვებს უფლებას

ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება იმ შემთხვევაში თუ დაირღვევა ბავშვის უფლებასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რეგულაციები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მაკონტროლებლის მიერ გაცემული ნებართვები იჯარის ფორმით ფართის დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ;
- ხელშეკრულება მეიჯარესთან;
- ხელშეკრულებები მშობლებთან;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N4 (15.02.2023 წ);
- აუქციონის დამადასტურებელი მასალა;
- მიმოწერა რესურსცენტრთან;
- სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილი N5/15850 (22 მარტი, 2023 წ);
- ბრძანება N2-173 გახანგრძლივებული წრის შექმნის თაობაზე;
- ხელშეკრულება გაფორმებული გახანგრძლივებული სწავლების წრის მასწავლებელთან.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია სასკოლო კურიკულუმის არსი და მისი შემადგენელი ნაწილები, მიმართებები ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სასკოლო კურიკულუმს შორის, ასევე კურიკულუმის განვითარების ეტაპები. სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების პროცესში სკოლა ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია, თუ ვინ და რა ფორმით მიიღებს მონაწილეობას სასწავლო პროცესის დაგეგმვაში-მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, დირექცია. ვის რა ფუნქცია ექნება; როგორ, რა ინსტრუმენტებით მოხდება სასწავლო პროცესის შესახებ მონაცემთა შეგროვება და გათვალისწინება; რა ფორმით აღიწერება სწავლა-სწავლების მიზნები, მეთოდები და შეფასების ფორმები.

ინდიკატორრის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და მოტივაცია, პროცესს ხელს უწყობს წინასწარ დაგეგმილი შეხვედრები კათედრის წევრებთან, დირექციასთან. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავების დროს გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების წევრთა ინტერესები. კურიკულუმში გაწერილია საინტერესო, არსებულ რეალობასა და მოსწავლეთა საჭიროებაზე გათვლილი კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებაც მოსწავლეთა შედეგებს გააუმჯობესებს და უფრო საინტერესოს გახდის სასწავლო პროცესს.

ინდიკატორრის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივ კათედრებზე. მასწავლებელი კათედრასთან თანამშრომლობით ქმნის და განავითარებს საკუთარ კურიკულუმს, რომლის საშუალებითაც აჩვენებს იმ გზას (აქტივობები, დავალებები, სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებული რესურსები), რომელსაც საკუთარ მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნულ სასწავლო გეგმაში დასახული გრძელვადიანი მიზნების (საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები) მისაღწევად.

ინდიკატორრის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილია ის ინსტრუმენტები და წყაროები, რომელთა დახმარებით მოხდება სასკოლო კურიკულუმის გაზიარება, საჯარო და ხელმისაწვდომი გახდება სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის, შესაბამისად ყველას შეეძლება შეხედულებებისა და აზრის დაფიქსირება. სასკოლო საზოგადოება იზიარებს მის შინაარსს, ვინაიდან ის ორიენტირებულია მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებაზე.

ინდიკატორრის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

დაწყებითი საფეხურის I-VI კლასების კურიკულუმის ჩარჩოებში, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით, წარმოდგენილია თემები, გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, შესაბამისი ქვეცნებებით, განსაზღვრულია შუალედური მიზნები, კურიკულუმის ჩარჩოებს თან ახლავს რამდენიმე კოპმლექსური დავალების მიხედვით მომზადებული თემატური მატრიცა, საიდანაც იკითხება, რომ კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილების გააქტიურებაზე, მათი მრავალმხრივი უნარების განვითარებაზე. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ სრული მზაობა აქვთ თემატური ერთეულები, ცალკეული დავალებები და აქტივობები მაქსიმალურად მოარგონ მოსწავლეთა შესაძლებლობებს. თვითშეფასების კითხვარშიც მითითებულია, რომ დაწყებით საფეხურზე თითოეული მასწავლებელი ითვალისწინებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მისაღწევ შედეგებსა და გრძელვადიან მიზნებს.

კომპიუტერული ტექნოლოგიები: წარმოდგენილი დოკუმენტაციით სასწავლო პროცესში თემები (საკითხები) ლოგიკური თანმიმდევრობითაა დალაგებული, თუმცა მე-4 და მე-5 კლასებში არ მუშავდება ცნებები: "გრაფიკული ინტერფეისი" და „კომპიუტერის აგებულება" (ტექნოლოგიების გზამკვლევიდან რესურსი 1 გამომდინარე).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

სკოლას მიეცა რჩევა:კომპიუტერული ტექნოლოგიები: ტექნოლოგიების კურიკულუმში ცნებები საჭიროა მუშავდებოდეს კომპიუტერული ტექნოლოგიების გზამკვლევში (რესურსი1) მოცემული ლოგიკური თანმიმდევრობით კლასების მიხედვით. მასწავლებელი უნდა ახდენდეს რეფლექსიას განხორციელებული კომპლექსური დავალებების, აქტივობების შესახებ, კურიკულუმში უნდა იკითხებოდეს დიფერენცირების და განმავითარებელი შეფასების რომელიმე ინსტრუმენტის გამოყენება

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი თემების, სამიზნე ცნებებისა და კომპლექსური დავალების მიხედვით, იკვეთება, რომ კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები). აღნიშნულთან დაკავშირებით საუბარია, როგორც თვითშეფასების კითხვარში, ასევე, ირკვევა პედაგოგებთან გასაუბრებისას, რომ მოსწავლეებში გლობალურ-კოგნიტური უნარების განვითარებას, არა მარტო კომპლექსური დავალებებით, არამედ პროექტული სწავლებითა და თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების კითხვარების გამოყენებით აღწევენ. აქტიურად მუშაობენ, ასევე, შემდეგი მიმართულებებით: კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ლიდერობა, დროის მოქნილობა, ხასიათი. დაწყებით კლასებში განსაკუთრებით იყენებენ ხარაჩოს მეთოდს, რაც ხელს უწყობს მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას და ემსახურება ცოდნის აგებას კონსტრუქტივისტულ საყრდენებზე დაფუძნებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

.წარმოდგენილი თემატური ერთეულების, ინდ. გეგმებისა და ადაპტირებული კომპლექსური დავალებების გაცნობის საფუძველზე შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. გასაუბრებებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დავალებებისა და აქტივობების დაგეგმვისას ინტენსიურად თანამშრომლობენ სპეციალურ

მასწავლებელთან, რათა სასწავლო გარემო და რესურსები მეტად მოქნილი და ინკლუზიური გახადონ, აქვთ გამოცდილება, რომ ცალკეული მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით წარმართონ სამომავლოდ კურიკულუმის ადაპტირება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს

დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, 2023-2024 სასწავლო წლისთვის მოსწავლეები შეფასდებიან, როგორც მიმდინარე, ისე შემაჯამებელი დავალებების მიხედვით. დაწყებით საფეხურზე მასწავლებლები აქტიურად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისი რუბრიკები სხვადასხვა საგანში. პედაგოგებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ სრულად ფლობენ შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებისა და შესაბამისი რუბრიკების შექმნის სტრატეგიებს, ასევე, შექმნილიც აქვთ რამდენიმე რუბრიკა და ინტენსიურად აგრძელებენ მუშაობას განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მომზადებას შერჩეული კომპლექსური თუ შემაჯამებელი დავალებებისთვის, ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარშიც იკითხება, რომ I -IV კლასებში განმავითარებელი შეფასება ხდება მესამე თაობის სასწავლო გეგმის შესაბამისად. რაც შეეხება V-VI კლასების მოსწავლების მიღწევები ფასდება, როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

სკოლის დაწყებითების კათედრის მიერ, არსებული გამოცდილების, თანამშრომლობისა და ერთობლივი ანალიზის საფუძველზეა შემუშავებული შუალედური მიზნები. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სამომავლოდ დაგეგმვის პროცესში უფრო მეტად გათვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებისა და ანალიზის ინსტრუმენტზე მუშაობენ. შეფასებისა და ანალიზის შედეგად მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირის, რეფლექსიის შედეგებისა და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით გადაამუშავებენ კურიკულუმებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სკოლის თვითშეფასების კითხვარი;**
- **კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;**
- **კურიკულუმის ჩარჩოები და დავალების** მატრიცები (I - IV და V – VI კლასები); შეფასების რუბრიკები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და სსსმ მოსწავლეებისთვის მოდიფიცირებული მატრიცები;
- გასაუბრება პედაგოგებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას**

სსიპ -ქალაქ თბილისის N58 სკოლაში სასწავლო პროცესში გათვალისწინებული სწავლა-სწავლების პრინციპები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორიენტირებას მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე. საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებს შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობის,პრობლემების გადაჭრის გზით. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას კონსტრუქტივისტული მიდგომებით, რესურსებით და სტრატეგიებით. სკოლაში მთელი სასწავლო წლის განმავლობაში ხორციელდება სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები, ფესტივალები, სპორტული და ინტელექტუალურ აქტივობები, გასვლითი ღონისძიებები მუზეუმებში, თეატრებში. სკოლაში წარმატებით ხორციელდება და მომავალშიც დაგეგმილია პროექტები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში

ჩართულობას , ასევე მოსწავლეებში შინაგანი მოტივაციის ზრდას, უყალიბდებათ პოზიტიური დამოკიდებულებები და იზრდება მათი აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა.

კომპიუტერული ტექნოლოგიები: წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ აქტივობები ხორციელდება ტექნოლოგიების გამოყენებით (მაგ.გამოკითხვების ჩატარება პროექტის აქტივობის სახით Microsoft Forms/Google Forms, Menti.com-ის დახმარებით, შექმნილია ბლოგები, გამოიყენება Outlook, საოფისე პროგრამები და ა.შ.) ასევე დოკუმენტაციით წარმოდგენილია სკოლის ბლოგი http://58-skola.blogspot.com/p/blog-page_60.html და https://metsarmeoba.blogspot.com/-საინტერესო მეწარმეობის ბლოგი. მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით შექმნილია კლუბები (მაგ.ხელოვნური ინტელექტის), სადაც როგორც პროექტის რეფლექსიიდან ჩანს, საინტერესო აქტივობები ხორციელდება, მაგ:ტრენინგები, გაკვეთილები, რობოტების გამართვა, რობოტების შეჯიბრში მონაწილეობა . აქედან გამომდინარე, ჩანს, რომ მოსწავლეები აქტიურ შემოქმედებით პროცესში არიან ჩართულნი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, რაც წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას. მოსწავლეები ინფორმაციის დამუშავებას და ცოდნად გარდაქმნას, წინარე ცოდნის საშუალებით ახორციელებენ, რაც განაპირობებს შინაგანი ძალების გააქტიურებას. კომპლექსური დავალებები ისეა ფორმულირებული რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეებისთვის ნაცნობი კონტექსტები შემოაქვს .საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების შესრულებისას მოსწავლეებს უწევთ გადაჭრან მათთვის ნაცნობი პრობლემები, გააკეთონ ანალიზი და შექმნან საინტერესო პროდუქტი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე

მასწავლებელთა გასაუბრებიდან, წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე რომლის მიზანია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები, კომპლექსური დავალებები ისეა აგებული, რომ მოსწავლეს შეუძლია მეტაკოგნიტური უნარების გამომუშავება, რაც სამომავლოდ გაზრდის მოსწავლეთა თვითშეფასებას. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში შეფასების კრიტერიუმები ისეა გაწერილი რომ ხელს უწყობს მოსწავლეებში სწავლის-სწავლის, რეფლექსიის, თვითრეგულირებული სწავლის უნარების განვითარებას.

ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)

მასწავლებელთა გასაუბრებიდან და წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული), რაც აისახება საგნობრივ პროგრამებში, კომპლექსურ დავალებებსა და არაფორმალურ აქტივობებში. ორიენტირება ცოდნის სამივე კატეგორიაზე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში საკითხის გააზრებას, არსობრივ წვდომასა და სხვადასხვა კონტექსტში ცოდნის გამოყენებას.

კომპიუტერული ტექნოლოგიები: არ არის მტკიცებულებები კომპლექსური დავალების , შემაჯამებელი დავალების ,მოსწავლეთა **ნამუშევრების ანალიზის შესახებ.**

სკოლას მიეცა რჩევა:შემუშავდეს ნამუშევრების ანალიზის ფორმა და განხორციელდეს მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების ანალიზი

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

მასწავლებელთა გასაუბრებიდან , წარმოდგენილი მასალებიდან , თვითშეფასების დოკუმენტებიდან ჩანს რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. კომპლექსური დავალებები და სხვადასხვა სასკოლო პროექტები ისეა აგებული, რომ მოსწავლემ გააერთიანოს ყველა ის უნარი და ცოდნა, რაც მას გამოადგება პრობლემის გადაჭრისას. იგეგმება სამომავლოდ იმ უნარების განვითარება, რომელიც მნიშვნელოვნად საჭიროა გამოწვევებთან გამკლავებისას და პროდუქტის შექმნისას, ცოდნის ინსტრუმენტად გარდაქმნისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- წრეები და პროექტები.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

დაწესებულების თვითშეფასების კითხვარიდან და სასკოლო სასწავლო გეგმიდან ჩანს, რომ სკოლაში აქტიურად მუშაობს საგნობრივი კათედრები, სადაც ხდება კურიკულუმებზე მუშაობა და კომპლექსური დავალებების დაგეგმვა. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებელთა ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული აქვს გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თემებში შერჩეულია საკითხები ისე, რომ შესაძლებელია თემის დამუშავება, მუშავდება სამიზნე ცნებები, ჩამოყალიბებულია კომპლექსური დავალების იდეები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები. რელევანტური კავშირი ჩანს სამიზნე ცნებას, ქვეცნებას, საგნობრივ საკითხსა და რესურსებს შორის. სკოლას აქვს მზაობა საგნობრივმა კათედრებმა აქტიურად გააგრძელონ მუშაობა, შედგეს კურიკულუმები და დაიგეგმოს კომპლექსური დავალებები, რათა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. **ინდიკატორი მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივ კურიკულუმში ასახული საკითხები მოსწავლეთათვის არ იქნება რთულად აღსაქმელი, რადგან ცოდნის თანდათან კონსტრუირებას ეფუძნება, რაც მოსწავლისთვის დადებით ფსიქო-ემოციურ პირობებს ქმნის. შეთავაზებული კონტექსტები და შედარების მაგალითები, მასწავლებლის რჩევები და განმავითარებელი შეფასება ერთგვარ დამხმარე რგოლს, სკაფოლდინგის სისტემას ქმნიან სასწავლო მიზნის მისაღწევად. ასევე აღნიშნეს,რომ ხორციელდება არაერთი სოციალური და საგანმანათლებლო პროექტი, რომელიც მოსწავლეების ემოციურ გააქტიურებას უწყობს ხელს. ასევე, მოსწავლეებში ემპათიის, პასუხისმგებლობის, აქტიური მოქალაქისათვის დამახასიათებელი უნარების განვითარებას ისახავს მიზნად. კერძოდ,სკოლაში აქტიურად მუშაობენ „ეკო 58“, „ხელოვნური ინტელექტის“, „მოაზროვნეთა“

„დებატების“ კლუბები. სკოლაში მოქმედი წრეები/კლუბები წარმატებით ფუნქციონირებს, რასაც ადასტურებს აღნიშნულ წრეებში/კლუბებში გაწევრიანებულ მოსწავლეთა რიცხოვნობა.სკოლას აქვს მზაობა სასწავლო მიზნების ჩამოყალიბებასა და სწავლის პროცესში მაქსიმალურად გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინტერესები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

სკოლის თვითშეფასების კითხვარის, სასკოლო სასწავლო გეგმის და წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების მიხედვით ნათელია, რომ სკოლას გააზრებული აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მიზნები და ამოცანები. სკოლის დოკუმენტაციაში წარმოდგენილია და მასწავლებელთა ინტერვიურების დროს გამოიკვეთა რომ სკოლა იყენებს შეფასების რუბრიკებს(პრეზენტაციის,ჯგუფური მუშაობის,დისკუსიის,) სასწავლო პროცესში. შეფასების რუბრიკები არ არის აქცენტირებული მხოლოდ საგნობრივი საკითხის დასწავლაზე, არამედ მოსწავლის სასწავლო პროცესში აქტიურ მონაწილეობას უწყობს ხელს. მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. იგეგმება გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან მიმართებით განმავითარებელი და თემის ფარგლებში მოსწავლეთა შედეგების ინდიკატორებზე დაყრდნობით განმსაზღვრელი შეფასების წარმოება(მე-5 კლ-II სემესტრი და მე-6 კლასი) შესაბამის რუბრიკებზე დაყრდნობით. ეს კი ორიენტირებული იქნება მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე და მორგებული მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან და მასწავლებელთა ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში მოსწავლის შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი. მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების კარგი გამოცდილება აქვთ, რა დროსაც მოსწავლეები უფრო სიღრმისეულად და პასუხისმგებლიანად იაზრებენ შეფასების კრიტერიუმებს და უჩნდებათ თანამონაწილეობის, სამართლიანობის განცდა. რუბრიკების შემუშავებაში მოსწავლეთა ჩართულობა ზრდის სანდოობის ხარისხს, სამართლიანობის პრინციპის დაცვას. გამჭვირვალეობა უზრუნველყოფილია შეფასების რუბრიკების წინასწარ გაცნობით, მოსწავლეებისათვის სასწავლო პროცესში წინასწარ ცნობილია შეფასების რუბრიკის კრიტერიუმები, ამით ხელს ვუწყობთ მოსწავლეებმა რეალურად შეაფასონ საკუთარი თავი. სკოლას აქვს მზაობა მოსწავლეთა ჩართულობითა და მათი ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით შეფასების რუბრიკების შემუშავებამ უფრო სისტემური და ხშირი ხასიათი მიიღოს. გარდა ამისა, კარგი იქნება რუბრიკების შემუშავებისას კოლეგების და მშობლების აზრის გათვალისწინებაც. საგნობრივ კათედრაზე თითოეული საგნისათვის შექმნან ისეთი შეფასების სისტემა, სადაც იქნება გააზრებული შეფასების სისტემური მიდგომა. მოსწავლეთათვის ცნობილი იქნება: თუ რაში ფასდებიან, როგორ ფასდებიან, რამდენად მიზნობრივად ფასდება მოცემული შედეგი, რამდენად უზრუნველყოფილია თანაბარი სამართლიანობა მოსწავლეთა მიმართ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

დაწესებულებამ წარმოადგინა ბრძანება N2-157 (30.08.2023წ) დამტკიცებული კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომლის მე-7 პუნქტი წარმოადგენს ვერიფიკაციის მექანიზმს. დოკუმენტით განსაზღვრულია ვერიფიკაციის მიზანი, ვინ შეიძლება იყოს ვერიფიკატორი, როგორ ხორციელდება ვერიფიკაციის პროცესი და რა რისკები შეიძლება დადგეს პროცესში. ვერიფიკაციის ანგარიშს დაწესებულება იხილავს როგორც სასკოლო კურიკულუმის შეფასების ინსტრუმენტს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სკოლის თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ სკოლაში დაცულია დოკუმენტის წარმოებასთან და მათ შენახვასთან დაკავშირებული რეგულაციები. ჟურნალი წარმოადგენს სკოლის ოფიციალურ დოკუმენტს, რომელიც ინახება სკოლაში, მესამე პირთაგან დაცულ ადგილას 5 წლის განმავლობაში. მოსწავლის პირადი საქმე სკოლაში ინახება 75 წლის განმავლობაში. რაც შეეხება შემაჯამებელ სამუშაოებს, როგორც მტკიცებულებას, ინახება მანამ, სანამ მოსწავლე არ გადავა მომდევნო კლასში. ასევე დასაშვებია სწავლების საფეხურის დაძლევამდე იქნას შენახული საფეხურის მანძილზე შესრულებული სამუშაოები. გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით (ელექტრონული ჟურნალი, მოსწავლეთა ნამუშევრები/ტესტები).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- კურიკულუმის ჩარჩო;
- შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმის მეთოდოლოგია ბრძანება N2-157 (30.08.2023წ).

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო

სსიპ - ქალაქ თბილისის N58 საჯარო სკოლის სასწავლო პროცესი ხორციელდება პოზიტიურ, თანამშრომლობით და დემოკრატიულ გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტების და კათედრებთან გასაუბრების შედეგების საფუძველზე. სკოლაში დაგეგმილი ხელშემწყობი აქტივობების დებულებები გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში, სკოლაში შექმნილია ტოლერანტული და თანასწორი გარემო, რაც განაპირობებს მასწავლებლებისა და მოსწავლეების მხრიდან ინიციატივების მიღებას, დაფასებას, განხორციელებასა და გაუმჯობესებას. აქტიურად ხორციელდება მოსწავლეებისთვის საინტერესო პროექტები, წრეები/კლუბები, (ტანვარჯიშის წრე) სადამრიგებლო პროგრამა, ინკლუზიური განათლების პროგრამა, კომპლექსური დავალებები, რაც უზრუნველყოფილია სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსებით (ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია და სპორტული ინფრასტრუქტურა და სხვა). სკოლა აქტიურად მონაწილეობს არაფორმალური განათლების საგნობრივ პროგრამებში, არის კეთილგანწყობილი, თანამშრომლობაზე აგებული ატმოსფერო. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებელთა გასაუბრებიდან ჩანს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა მოტივაციისა და სასწავლო პროცესში მათი ჩართულობის ზრდაზე. ამ მხრივ დაწყებით კლასებში განსაკუთრებით ხელშემწყობი გარემო აქვთ. მასწავლებელთა მიერ შემუშავებულია კურიკულუმები, დაგეგმილია არაფორმალური აქტივობები და პედაგოგების სადამრიგებლო პროგრამები. სასწავლო პროცესში გამოყენებულია დიფერენცირებული სწავლების მეთოდები და მიდგომები, სსსმ მოსწავლეებისთვის შექმნილია შესაბამისი სასწავლო გარემო რესურს ოთახის და ინდივიდუალური გეგმების სახით, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეების ინტერესებზე მორგებულ და მათზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას**

სკოლის სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს სკოლაში დამკვიდრებული გამოცდილება პედაგოგების თანამშრომლობის სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან. ხშირად მიმდინარეობს კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, რაც სასწავლო პროცესში თანამშრომლობით წარმატებების მიღწევისა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიების წინაპირობაა. სკოლის ავტორიზაციის პროცესი მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით, მშობლებს აქვთ შესაძლებლობა დაესწრონ სკოლის დაწყებით საფეხურზე ჩატარებულ სხვადასხვა ღონისძიებასა და სპორტულ ფესტივალებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სკოლაში პოზიტიური კლიმატის ჩამოყალიბებას განაპირობებს თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობები. თუმცაღა არსებობს რიგი საკითხები, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებს და ამისათვის სრული მზაობაა. ამ მიმართულებით აქტივობების დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლეების, მასწავლებლების, ადმინისტრაციისა და მშობლების გამოცდილებას. სკოლის სტრატეგიული გეგმის შემუშავების ფარგლებში ჩატარებული კმაყოფილების კვლევის ანალიზიდან გამომდინარე, სკოლაში იგეგმება დამატებითი გამოკითხვის ჩატარება და მიღებული შედეგების საფუძველზე შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა-განხორციელება პოზიტიური კლიმატის სათანადოდ გაუმჯობესების მიზნით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა.
- სსიპ ქალაქ თბილისის N58 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი.
- ინკლუზიური განათლების დოკუმენტაცია;
- 1-6 კლასის კურიკულუმები.
- წრეები და პროექტები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

ღნიშნული ინდიკატორის მტკიცებულებად სკოლას წარმოდგენილი აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლებიც ემყარება ისეთ პრინციპებს, როგორიცაა: გამჭვირვალობა და გაზიარებულობა, მონაწილეობითობა, უწყვეტობა, ანგარიშვალდებულება. ასწავლო პროცესის უზრუნველყოფისა და მუდმივი გაუმჯობესების მიზნით, სკოლა ახორციელებს სასწავლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგსა და შეფასებას, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, სკოლის მატერიალური რესურსის გაუმჯობესებას. დაწყებით საფეხურზე მონიტორინგი და შეფასება ეფუძნება მასწავლებელთა მხრიდან საკუთარი პრაქტიკის ანალიზს, განხორციელებული აქტივობების რეფლექსიებს, კათედრაზე გაწეული სამუშაოების წლიურ ანგარიშებს. სკოლას აქვს განსაზღვრული მონიტორინგის მეთოდოლოგია, რომელიც მოიაზრებს მონიტორინგის ჯგუფის შექმნას. ჯგუფში შედიან კათედრის ხელმძღვანელები, რომლებიც მონიტორინგს უწევენ ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა: ურთიერთდასწრება გაკვეთილზე, პროექტები და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები. კათედრაზე საგნის მასწავლებლები ურთიერთდასწრების დროს უწევენ ერთმანეთს მონიტორინგს და აფასებენ გაკვეთილის ყველა აქტივობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

□კოლის მიერ □არმოდგენილი მტკიცებულებები (სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის, სადამრიგებლო პროგრამების, შეფასების რუბრიკების შესახებ) ადასტურებს, რომ □კოლაში მონიტორინგისა და შეფასების პროცესი ემსახურება სასკოლო საზოგადოებს წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. მოსწავლეების ფასდებიან მრავალმხრივი კონტექსტის გათვალისწინებით. შეფასება ხდება არა მხოლოდ გაკვეთილის პროცესში, არამედ სკოლის სხვადასხვა ღონისძიებებში, მაგალითად, პროექტებში, კონფერენციებში, ოლიმპიადებში, სპორტულ აქტივობებში.

სკოლის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები არის იმის მტკიცებულება, რომ შეფასება ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერასა და დახმარებას. მათ გათვითცნობიერებული აქვთ, რომ ყველა მოსწავლის წარმატებაზე დაკვირვებისთვის აუცილებელია კარგად იცნობდნენ მოსწავლეთა ემოციურ თუ სოციალურ მდგომარეობას. ამიტომ თანამშრომლობენ კლასის დამრგიგებლებთან. ამის დასტურია სადამრიგებლო პროგრამა. მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი აკვირდება მასწავლებლის საქმიანობას (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესს), აფასებს და აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

მონიტორინგი და შეფასება უნდა ემსახურებოდეს წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას. იგივე შეგვიძლია დავასკვნათ სკოლის მიერ წარმოდგენილი დანართების (კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია; ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება; შეფასების რუბრიკები) საფუძველზე. სასწავლო პროცესის მონიტორინგი ხორციელდება სკოლის დირექტორისა და მოადგილის მიერ საგაკვეთილო პროცესზე დასწრებით, რა დროსაც დგინდება მასწავლებლების საჭიროებები და ისახება პრობლემის გადაჭრის გზები. გარდა ამისა, მასწავლებლები იზიარებენ და ითვალისწინებენ ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის განმავითარებელ შეფასებას, ასევე კათედრის წევრთა ურთიერთდასწრების შედეგად გაზიარებულ გამოცდილებას. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია ინფორმაცია მონიტორინგისა და შეფასების შედეგების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავებზე კურიკულუმის გაუმჯობესების მიზნით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- შეფასების რუბრიკები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოსწავლეთა შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. შეფასების ჰოლისტური ხასიათი გულისხმობს ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. ინტერვიურების დროს მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ პროცესების, მოსწავლის პრობლემის გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია, ეს ინფორმაცია მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან კი ჩანს, რომ მოსწავლეების შეფასება ხორციელდება როგორც ფაქტობრივი და პროცედურული, ასევე პირობისეული ცოდნის გათვალისწინებით. ეს დასტურდება კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებიდან, რომელთა შესრულებაც მოითხოვს სამივე კატეგორიის ცოდნას. სკოლაში მოქმედებს შფასების გარე მექანიზმიც (naec), რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შეფასების მრავალფეროვნებას. შესაბამისად, ამ ინდიკატორით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2. **მოსწავლეთა შფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**, წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ინტერვიურების პროცესში კათედრის წევრები საუბრობდნენ უკვე განხორციელებული კომპლექსური დავალებების შესახებ, ასევე, არაფორმალური განათლების კუთხით მათ გამოცდილებაზე, რაც იმაზე მეტყველებს, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. საშინაო დავალების კომპონენტით ფასდება ნებისმიერი ტიპის დავალება (წერითი, ზეპირი, ექსპერიმენტი, ნამუშევარი (მაგ. ნახატი, ესე და სხვ.), რასაც მოსწავლე სახლში ამზადებს. საგნობრივი ჯგუფების სპეციფიკიდან გამომდინარე, საშინაო და საკლასო დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს: ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაცია, სავარჯიშოების შესრულება, ექსპერიმენტი, დისკუსია და სხვა. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, თითოეულ მასწავლებელს შემუშავებული აქვს სხვადასხვა აქტივობის ინდივიდუალური შეფასების სქემები. ეს ჩანს ერთწლიან სასკოლო სასწავლო გეგმაში, სადაც წარმოდგენილია მოსწავლეთა შფასების ტიპები და კრიტერიუმები. შესაბამისად, ამ ინდიკატორით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებიდან ჩანს, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. სიტუაციის, მოვლენის, მოსწავლის უნარისა და შესაძლებლობებისა თუ სხვა ასპექტების შესწავლისას გადამწყვეტია მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაციის მიღება, რაც შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით, რაც შესწავლის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს.

სკოლა გეგმავს სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ მოახდინოს მოსწავლეთა დიაგნოსტირება შეფასების N1 ინსტრუმენტის გამოყენებით, რაც გულისხმობს კომპლექსური დავალებების დანერგვის პროცესში მოსწავლეებზე დაკვირვებას და ამ დაკვირვების შედეგების სპეციალურ ცხრილში ასახვას. მიღებული შედეგების გაანალიზებით კი ახალი სასწავლო წლისთვის შესაბამისი აქტივობების დაგეგმვას. სკოლის ერთწლიანი სასკოლო სასწავლო გეგმიდან ჩანს, რომ სტანდარტის მოთხოვნათა შესასრულებლად აუცილებელია შემაჯამებელი დავალების კომპონენტში კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება (მაგ., ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.). ამგვარ დავალებაში შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასებისათვის მასწავლებლები გეგმავენ, შეიმუშავონ მოსწავლეების შეფასების კრიტერიუმები. შესაბამისად, ამ ინდიკატორით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ტესტის ნიმუში განმსაზღვრელი შეფასებისათვის, დაგენერირებული დიაგნოსტიკური ტესტი. ერთწლიანი სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლა სამ კომპონენტზე დაყრდნობით ახორციელებს მოსწავლეთა შეფასებას, რაც გულისხმობს როგორც საკლასო და საშინაო დავალების კომპონენტებს, ასევე შემაჯამებელ შეფასებას. მართალია, კომპლექსური დავალებებით სწავლა-სწავლების პროცესი არ გულისხმობს მოსწავლეთა შეფასებას განმსაზღვრელი შეფასებით, თუ მას სპეციალურად არ მიანიჭა მასწავლებელმა შემაჯამებელი დავალების სტატუსი, მაგრამ კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები აღწერს მოსწავლეთა განვითარების დინამიკას. ყველაზე ტიპური პროცესი, რომელიც გვიჩვენებს შეფასების მულტიფაქტორულ მიდგომას, არის მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. მულტიფაქტორული მიდგომა გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. შესაბამისად, ამ ინდიკატორით სკოლა**აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

რჩევა: 1. საშუალო საფეხურის კურიკულუმისთვის კომპლექსური დავალებები შეარჩიეთ math.ge მათემატიკის საიტიდან, სადაც განთავსებულია დამატებითი რესურსი „მათემატიკის სახელმძღვანელო“ მიმართულებების მიხედვით.

2. შექმენით მოსწავლეთა ნამუშევრების/ პორტფოლიოების ბაზა, რაც დაგეხმარებათ მოსწავლეთა შეფასებაში

3. შექმენით ყველა კლასისთვის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მათ შორის ტესტები, თემების მიხედვით, რაც დაგეხმარებათ მოსწავლეთა შეფასებაში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგნობრივი კურიკულუმები და მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები
- ერთწლიანი სასკოლო სასწავლო გეგმის პრ
- ოექტი (დანართი N2)
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი (დანართი N10, ბრძანება N2)
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- შემაჯამებელი ოქმი (ე.წ. რესურსი N12)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია ინფორმაცია მონიტორინგისა და შეფასების შედეგების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავებზე კურიკულუმის გაუმჯობესების მიზნით. კურიკულუმი გადაფასდება დაწყებით საფეხურზე, სამუშაო შეხვედრებზე მასწავლებლები განიხილავენ თემატურ გეგმებს, შეფასების კრიტერიუმებს, ერთმანეთს გაუზიარებენ გამოცდილებას და გადამუშავების საფუძველზე შექმნიან საუკეთესო მოდელებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

როგორც ვიზიტის დროს გაირკვა, მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ კომპლექსური დავალებების იდეები. კურიკულუმების განხილვა მომავალშიც გაგრძელდება დაწყებითი საფეხურის კათედრაზე და გაითვალისწინებენ როგორც წინარე გამოცდილებას, ასევე მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

კოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია ინფორმაცია სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზების შესახებ შემდეგი მიმართულებების მიხედვით: 1) მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში; 2) მოსწავლეთა შედეგები; 3) მშობელთა ჩართულობა; 4) კათერდის მუშაობა; 5) სკოლის დირექცია. თითოეულ საკითხთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა შექმნის რეკომენდაციების პაკეტს მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად და სამოქმედო გეგმის გასაახლებლად.

ნდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- შეფასების რუბრიკები;
- კომპლექსური დავალებების იდეები;
- საგნობრივი ჩარჩოები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფხური)	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია სასკოლო კურიკულუმის არსი და მისი შემადგენელი ნაწილები, მიმართებები ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სასკოლო კურიკულუმს შორის, ასევე კურიკულუმის განვითარების ეტაპები. სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების პროცესში სკოლა ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია, თუ ვინ და რა ფორმით მიიღებს მონაწილეობას სასწავლო პროცესის დაგეგმვაში-მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, დირექცია. ვის რა ფუნქცია ექნება; როგორ, რა ინსტრუმენტებით მოხდება სასწავლო პროცესის შესახებ მონაცემთა შეგროვება და გათვალისწინება; რა ფორმით აღიწერება სწავლა-სწავლების მიზნები, მეთოდები და შეფასების ფორმები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და მოტივაცია, პროცესს ხელს უწყობს წინასწარ დაგეგმილი შეხვედრები კათედრის წევრებთან,

დირექციასთან. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავების დროს გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების წევრთა ინტერესები. კურიკულუმში გაწერილია საინტერესო, არსებულ რეალობასა და მოსწავლეთა საჭიროებაზე გათვლილი კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებაც მოსწავლეთა შედეგებს გააუმჯობესებს და უფრო საინტერესოს გახდის სასწავლო პროცესს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივ კათედრებზე . მასწავლებელი კათედრასთან თანამშრომლობით ქმნის და განავითარებს საკუთარ კურიკულუმს, რომლის საშუალებითაც აჩვენებს იმ გზას (აქტივობები, დავალებები, სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებული რესურსები), რომელსაც საკუთარ მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნულ სასწავლო გეგმაში დასახული გრძელვადიანი მიზნების (საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები) მისაღწევად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილია ის ინსტრუმენტები და წყაროები, რომელთა დახმარებით მოხდება სასკოლო კურიკულუმის გაზიარება, საჯარო და ხელმისაწვდომი გახდება სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის, შესაბამისად ყველას შეეძლება შეხედულებებისა და აზრის დაფიქსირება. სასკოლო საზოგადოება იზიარებს მის შინაარსს, ვინაიდან ის ორიენტირებულია მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბაზო საფეხურის VII-IX კლასების კურიკულუმის ჩარჩოებში, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით, წარმოდგენილია თემები, გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, შესაბამისი ქვეცნებებით, განსაზღვრულია შუალედური მიზნები, კურიკულუმის ჩარჩოებს თან ახლავს კომპლექსური დავალების მიხედვით მომზადებული თემატური მატრიცს ნიმუშები, საიდანაც იკითხება, რომ კურკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილების გააქტიურებაზე, მათი მრავალმხრივი უნარების განვითარებაზე. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ სრული მზაობა აქვთ თემატური ერთეულები, ცალკეული დავალებები და აქტივობები მაქსიმალურად მოარგონ მოსწავლეთა შესაძლებლობებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)

საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი თემების, სამიზნე ცნებებისა და კოპმლექსური დავალების მიხედვით, იკვეთება, რომ კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები). აღნიშნულთან დაკავშირებით საუბარია, როგორც თვითშეფასების კითხვარში, ასევე, ირკვევა პედაგოგებთან გასაუბრებისას, რომ მოსწავლეებში გლობალურ-კოგნიტური უნარების განვითარებას, არა მარტო კომპლექსური დავალებებით, არამედ პროექტული სწავლებითა და თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების კითხვარების გამოყენებით აღწევენ. აქტიურად მუშაობენ, ასევე, შემდეგი მიმართულებებით: კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა,

მოქალაქეობა, ლიდერობა, დროის მოქნილობა, ხასიათი. საბაზო საფეხურზე განსაკუთრებით იყენებენ ხარაჩოს მეთოდს, რაც ხელს უწყობს მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას და ემსახურება კონსტრუქტივისტულ საყრდენებზე დაფუძნებით ცოდნის აგებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს**

წარმოდგენილი თემატური ერთეულების, ინდ. გეგმებისა და ადაპტირებული კომპლექსური დავალებების გაცნობის საფუძველზე შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; გასაუბრებებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დავალებებისა და აქტივობების დაგეგმვისას ინტენსიურად თანამშრომლობენ სპეციალურ მასწავლებელთან, რათა სასწავლო გარემო და რესურსები მეტად მოქნილი და ინკლუზიური გახადონ, აქვთ გამოცდილება, რომ ცალკეული მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით წარმართონ სამომავლოდ კურიკულუმის ადაპტირება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს** სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, 2023-2024 სასწავლო წლისთვის მოსწავლეები შეფასდებიან, როგორც მიმდინარე, ისე შემაჯამებელი დავალებების მიხედვით. აქტიურად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისი რუბრიკები სხვადასხვა საგანში. პედაგოგებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ სრულად ფლობენ შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებისა და შესაბამისი რუბრიკების შექმნის სტრატეგიებს, ასევე, შექმნილიც აქვთ რამდენიმე რუბრიკა და ინტენსიურად აგრძელებენ მუშაობას განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მომზადებას შერჩეული კომპლექსური თუ შემაჯამებელი დავალებებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

სკოლის საბაზო საფეხურზე, საგნობრივი კათედრების თანამშრომლობის საფუძველზეა შემუშავებული არჩეული თემები, რესურსები და შუალედური მიზნები. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სამომავლოდ დაგეგმვის პროცესში უფრო მეტად გათვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებისა და ანალიზის ინსტრუმენტზე მუშაობენ. შეფასებისა და ანალიზის შედეგად მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირის, რეფლექსიის შედეგებისა და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით გადაამუშავებენ კურიკულუმებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- კურიკულუმის ჩარჩოები და დავალების მატრიცები (VII-IX კლასები);
- შეფასების რუბრიკები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და სსსმ მოსწავლეებისთვის მოდიფიცირებული მატრიცები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას**

სსიპ ქალაქ თბილისის N58 სკოლაში სასწავლო პროცესში გათვალისწინებული სწავლა-სწავლების პრინციპები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორიენტირებას მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე. საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებს შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემების გადაჭრის გზით. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას კონსტრუქტივისტული მიდგომებით, რესურსებით, და სტრატეგიებით. სკოლაში მთელი სასწავლო წლის განმავლობაში ხორციელდება სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები, ფესტივალები, სპორტული და ინტელექტუალურ აქტივობები, გასვლითი ღონისძიებები მუზეუმებში, თეატრებში. სკოლაში წარმატებით ხორციელდება სხვადასხვა ტიპის პროექტები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებას, საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების გააზრებას.მაგ : პროექტი „უფლებები და მოვალეობები“.მოსწავლეები მთელი სასწავლო წლის განმავლობაში ერთვებიან ისეთ პროექტებში რომლებიც გულისხმოს ხელნაკეთი ნივთების დამზადებას, გამოფენა/გაყიდვას. მაგ: პროექტი „ძველი თბილისის სკოლების რაიონული ფესტივალი მომავალი საქართველოსთვის“ . სკოლაში აქტიურად ფუნქციონირებს „ეკო 58“ , „სამოქალაქო განათლების“, „ხელოვნური ინტელექტის“,“მოაზროვნეთა“, „დებატების“ კლუბები.2023-2024 სასწავლო წელს იგეგმება პროექტები რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას , ასევე მოსწავლეებში შინაგანი მოტივაციის ზრდას, ჩამოუყალიბდებათ პოზიტიური დამოკიდებულებები და გაიზრდება მათი აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით

საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, რაც წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას. მოსწავლეები ინფორმაციის დამუშავებას და ცოდნად გარდაქმნას, წინარე ცოდნის საშუალებით ახორციელებენ, რაც განაპირობებს შინაგანი ძალების გააქტიურებას. კომპლექსური დავალებები ისეა ფორმულირებული რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეებისთვის ნაცნობი კონტექსტები შემოაქვს .საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების შესრულებისას მოსწავლეებს მოუწევთ გადაჭრან მათთვის ნაცნობი პრობლემები, გააკეთონ ანალიზი და შექმნან საინტერესო პროდუქტი. სკოლაში იგეგმება ესგ-ს პრიორიტეტულ თემებზე ორიენტირებული პროექტების განხორციელება, რაც ასევე ხელს შეუწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე**

მასწავლებელთა გასაუბრებიდან, წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე რომლის მიზანია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები, კომპლექსური დავალებები ისეა აგებული, რომ მოსწავლეს შეუძლია მეტაკოგნიტური უნარების გამომუშავება, რაც სამომავლოდ გაზრდის მოსწავლეთა თვითშეფასებას. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში შეფასების კრიტერიუმები ისეა გაწერილი რომ ხელს უწყობს მოსწავლეებში სწავლის-სწავლის, რეფლექსიის, თვითრეგულირებული სწავლის უნარების განვითარებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. .სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)

მასწავლებელთა გასაუბრებიდან და წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული);რაც აისახება საგნობრივ პროგრამებში, კომპლექსურ დავალებებსა და არაფორმალურ აქტივობებში. ორიენტირება ცოდნის სამივე კატეგორიაზე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში საკითხის გააზრებას, არსობრივ წვდომასა და სხვადასხვა კონტექსტში ცოდნის გამოყენებას. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში არსებული რესურსების (ქიმიური რეაქტივები, მოდელები, ხელსაწყოები) მიზნობრივად გამოყენება ხელს უწყობს ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებას. ლაბორატორიაში წარმოდეგენილია არაფორმალური განათლების ფარგლებში დამზადებული რესურსი ფიზიკაში , რომელსაც აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.** მასწავლებელთა გასაუბრებიდან, თვითშეფასების დოკუმენტიდან, საგნობრივი კურიკულუმებიდან ჩანს რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე რაც ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. ამავდროულად ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებას ხელს უწყობს სკოლაში განხორციელებული არაფორმალური, პროექტული და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობები, სადამრიგებლო საათზე განხორციელებული მუშაობა და ა.შ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;

- წრეები და პროექტები;
- დამრიგებლის სამოქმედო გეგმა.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

დაწესებულების თვითშეფასების კითხვარიდან და სასკოლო სასწავლო გეგმიდან ჩანს, რომ სკოლაში აქტიურად მუშაობს საგნობრივი კათედრები, სადაც ხდება კურიკულუმებზე მუშაობა და კომპლექსური დავალებების დაგეგმვა. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებელთა ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული აქვს გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თემებში შერჩეულია საკითხები ისე, რომ შესაძლებელია თემის დამუშავება, მუშავდება სამიზნე ცნებები, ჩამოყალიბებულია კომპლექსური დავალების იდეები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები. რელევანტური კავშირი ჩანს სამიზნე ცნებას, ქვეცნებას, საგნობრივ საკითხსა და რესურსებს შორის. სკოლას აქვს მზაობა საგნობრივმა კათედრებმა აქტიურად გააგრძელონ მუშაობა, შედგეს კურიკულუმები და დაიგეგმოს კომპლექსური დავალებები, რათა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივ კურიკულუმში ასახული საკითხები მოსწავლეთათვის არ იქნება რთულად აღსაქმელი, რადგან ცოდნის თანდათან კონსტრუირებას

ეფუძნება, რაც მოსწავლისთვის დადებით ფსიქო-ემოციურ პირობებს ქმნის. შეთავაზებული კონტექსტები და შედარების მაგალითები, მასწავლებლის რჩევები და განმავითარებელი შეფასება ერთგვარ დამხმარე რგოლს, სკაფოლდინგის სისტემას ქმნიან სასწავლო მიზნის მისაღწევად. ასევე აღნიშნეს,რომ ხორციელდება არაერთი სოციალური და საგანმანათლებლო პროექტი, რომელიც მოსწავლეების ემოციურ გააქტიურებას უწყობს ხელს. ასევე, მოსწავლეებში ემპათიის, პასუხისმგებლობის, აქტიური მოქალაქისათვის დამახასიათებელი უნარების განვითარებას ისახავს მიზნად. კერძოდ,სკოლაში აქტიურად მუშაობენ „ეკო 58“, „სამოქალაქო განათლების“, „ხელოვნური ინტელექტის“, „მოაზროვნეთა“ „დებატების“ კლუბები. სკოლაში მოქმედი წრეები/კლუბები წარმატებით ფუნქციონირებს, რასაც ადასტურებს აღნიშნულ წრეებში/კლუბებში გაწევრიანებულ მოსწავლეთა რიცხოვნობა.სკოლას აქვს მზაობა სასწავლო მიზნების ჩამოყალიბებასა და სწავლის პროცესში მაქსიმალურად გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინტერესები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

სკოლის თვითშეფასების კითხვარის, სასკოლო სასწავლო გეგმის და წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების მიხედვით ნათელია, რომ სკოლას გააზრებული აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მიზნები და ამოცანები. სკოლის დოკუმენტაციაში წარმოდგენილია და მასწავლებელთა ინტერვიურების დროს გამოიკვეთა რომ სკოლა იყენებს შეფასების რუბრიკებს (პრეზენტაციის,ჯგუფური მუშაობის,დისკუსიის,) სასწავლო პროცესში. შეფასების რუბრიკები არ არის აქცენტირებული მხოლოდ საგნობრივი საკითხის დასწავლაზე, არამედ მოსწავლის სასწავლო პროცესში აქტიურ მონაწილეობას უწყობს ხელს. მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. იგეგმება გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან მიმართებით განმავითარებელი და თემის ფარგლებში მოსწავლეთა შედეგების ინდიკატორებზე დაყრდნობით განმსაზღვრელი შეფასების წარმოება(მე-5 კლ-II სემესტრი და მე-6 კლასიდან ზევით) შესაბამის რუბრიკებზე დაყრდნობით. ეს კი ორიენტირებული იქნება მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე და მორგებული მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე.

ინდიკატორისს მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან და მასწავლებელთა ინტერვიურების დროს გამოიკვეთა , რომ სკოლაში მოსწავლის შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი. მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების კარგი გამოცდილება აქვთ, რა დროსაც მოსწავლეები უფრო სიღრმისეულად და პასუხისმგებლიანად იაზრებენ შეფასების კრიტერიუმებს და უჩნდებათ თანამონაწილეობის, სამართლიანობის განცდა.რუბრიკების შემუშავებაში მოსწავლეთა ჩართულობა ზრდის სანდოობის ხარისხს, სამართლიანობის პრინციპის დაცვას .გამჭვირვალეობა უზრუნველყოფილია შეფასების რუბრიკების წინასწარ გაცნობით, მოსწავლეებისათვის სასწავლო პროცესში წინასწარ ცნობილია შეფასების რუბრიკის კრიტერიუმები, ამით ხელს ვუწყობთ მოსწავლეებმა რეალურად შეაფასონ საკუთარი თავი. სკოლას აქვს მზაობა მოსწავლეთა ჩართულობითა და მათი ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით შეფასების რუბრიკების შემუშავებამ უფრო სისტემური და ხშირი ხასიათი მიიღოს, რუბრიკების შემუშავებისას

კოლეგების და მშობლების აზრი იქნას გათვალისწინებული. მოსწავლეთათვის ცნობილი იქნება: თუ რაში ფასდებიან, როგორ ფასდებიან, რამდენად მიზნობრივად ფასდება მოცემული შედეგი, რამდენად უზრუნველყოფილია თანაბარი სამართლიანობა მოსწავლეთა მიმართ.

ინდიკატორისს მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. დაწესებულებამ წარმოადგინა ბრძანება N2-157 (30.08.2023წ) დამტკიცებული კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომლის მე-7 პუნქტი წარმოადგენს ვერიფიკაციის მექანიზმს. დოკუმენტით განსაზღვრულია ვერიფიკაციის მიზანი, ვინ შეიძლება იყოს ვერიფიკატორი, როგორ ხორციელდება ვერიფიკაციის პროცესი და რა რისკები შეიძლება დადგეს პროცესში. ვერიფიკაციის ანგარიშს დაწესებულება იხილავს როგორც სასკოლო კურიკულუმის შეფასების ინსტრუმენტს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სკოლა აღნიშნავსს, რომ სკოლაში დაცულია დოკუმენტის წარმოებასთან და მათ შენახვასთან დაკავშირებული რეგულაციები. ჟურნალი წარმოადგენს სკოლის ოფიციალურ დოკუმენტს, რომელიც ინახება სკოლაში, მესამე პირთაგან დაცულ ადგილას 5 წლის განმავლობაში. მოსწავლის პირადი საქმე სკოლაში ინახება 75 წლის განმავლობაში. რაც შეეხება შემაჯამებელ სამუშაოებს, როგორც მტკიცებულებას, ინახება მანამ, სანამ მოსწავლე არ გადავა მომდევნო კლასში. ასევე დასაშვებია სწავლების საფეხურის დაძლევამდე იქნას შენახული საფეხურის მანძილზე შესრულებული სამუშაოები. გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით (ელექტრონული ჟურნალი, მოსწავლეთა ნამუშევრები/ტესტები).

დაწესებულებამ წარმოადგინა ბრძანება N2-157 (30.08.2023წ) დამტკიცებული კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომლის მე-7 პუნქტი წარმოადგენს ვერიფიკაციის მექანიზმს. დოკუმენტით განსაზღვრულია ვერიფიკაციის მიზანი, ვინ შეიძლება იყოს ვერიფიკატორი, როგორ ხორციელდება ვერიფიკაციის პროცესი და რა რისკები შეიძლება დადგეს პროცესში. ვერიფიკაციის ანგარიშს დაწესებულება იხილავს როგორც სასკოლო კურიკულუმის შეფასების ინსტრუმენტს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- კურიკულუმის ჩარჩო;
- შეფასების რუბრიკები.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სსიპ ქალაქ თბილისის N58 საჯარო სკოლის წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, კერძოდ, სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში, გაწერილია დემოკრატიული გარემოს ხელშემწყობი აქტივობები. აგრეთვე კათედრებთან გასაუბრების შედეგების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლაში შექმნილია ტოლერანტული და თანასწორი გარემო, მასწავლებლები ისევე როგორც მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი გამოთქმული ინიციატივების გათვალისწინებასა და განხორციელებაში. აქტიურად ხორციელდება მოსწავლეებისთვის საინტერესო პროექტები, წრეები და კლუბები (ტანვარჯიშის წრე), სადამრიგებლო პროგრამები, ინკლუზიური განათლების პროგრამები, კომპლექსური დავალებები. ამასთან ერთად, მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის ხელმისაწვდომია სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსები, როგორებიცაა ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, სპორტული ინფრასტრუქტურა და სხვა. სკოლა აქტიურად მონაწილეობს არაფორმალური განათლების საგნობრივ პროგრამებში, არის კეთილგანწყობილი, თანამშრომლობაზე აგებული ატმოსფერო.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

.2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებელთა გასაუბრებიდან ჩანს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა მოტივაციისა და სასწავლო პროცესში მათი ჩართულობის ზრდაზე. ამ მხრივ საბაზო საფეხურის

კლასებში იგეგმება არსებული კომპლექსური დავალებების განვითარება, ახალი პროექტების დაგეგმვა-განხორციელება, სადამრიგებლო პროგრამების გაძლიერება და კათედრების კიდევ უფრო გააქტიურება. აღსანიშნავია ისიც, რომ სკოლაში დაგეგმილი სასკოლო საზოგადოების გამოკითხვით, სადიაგნოსტიკო წერებითა და მისი ანალიზით, ხელი შეეწყობა მოსწავლის ინტერესების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირების პროცესს. სასწავლო პროცესში გამოყენებული დიფერენცირებული სწავლების მეთოდები და მიდგომები, სსსმ მოსწავლეებისთვის შექმნილი შესაბამისი სასწავლო გარემო რესურს ოთახი, ინდივიდუალური გეგმები და სხვა, უზრუნველყოფს მოსწავლეების ინტერესებზე მორგებულ და მათზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას

სკოლის სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს სკოლაში დამკვიდრებული გამოცდილება პედაგოგების თანამშრომლობის სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან და სასკოლო საზოგადოებასთან. სკოლას მაგალითის სახით მოყვანილი აქვს „ზამთრის ფესტივალის“ ერთობლივი ორგანიზება, სკოლაში ხშირად მიმდინარეობს კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება და პოზიტიური უკუკავშირის მეთოდის გამოყენება. სკოლის სასწავლო გარემოში არსებული გამოწვევების და პრობლემების გადასაწყვეტად ავტორიზაციის პროცესში აქტიურად არიან ჩართულნი პედაგოგები და სასკოლო საზოგადოება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სკოლაში პოზიტიური კლიმატის ჩამოყალიბებას განაპირობებს თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობები. პედაგოგების მიერ დაგეგმილ სასკოლო აქტივობებში მოსწავლეებთან ერთად ჩართულია სკოლის ადმინისტრაცია (მაგალითად სპორტული ფესტივალები). ამ მიმართულებით აქტივობების დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლეების, მასწავლებლების, ადმინისტრაციისა და მშობლების გამოცდილებას. სკოლის სტრატეგიული გეგმის შემუშავების ფარგლებში ჩატარებული კმაყოფილების კვლევის ანალიზიდან გამომდინარე, სკოლაში იგეგმება დამატებითი გამოკითხვის ჩატარება და მიღებული შედეგების საფუძველზე შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა-განხორციელება პოზიტიური კლიმატის სათანადოდ გაუმჯობესების მიზნით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის N58 საჯარო სკოლი სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;

- ინკლუზიური განათლების დოკუმენტაცია;
- 7-9 კლასის კურიკულუმები;
- წრეები და პროექტები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1.მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

ღნიშნული ინდიკატორის მტკიცებულებად სკოლას წარმოდგენილი აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლებიც ემყარება ისეთ პრინციპებს, როგორიცაა: გამჭვირვალობა და გაზიარებულობა, მონაწილეობითობა, უწყვეტობა, ანგარიშვალდებულება. ასწავლო პროცესის უზრუნველყოფისა და მუდმივი გაუმჯობესების მიზნით, სკოლა ახორციელებს სასწავლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგსა და შეფასებას, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, სკოლის მატერიალური რესურსის გაუმჯობესებას. აბაზო საფეხურზე მონიტორინგი და შეფასება ეფუძნება მასწავლებელთა მხრიდან საკუთარი პრაქტიკის ანალიზს, განხორციელებული აქტივობების რეფლექსიებს, კათედრაზე გაწეული სამუშაოების წლიურ ანგარიშებს. სკოლას აქვს განსაზღვრული მონიტორინგის მეთოდოლოგია, რომელიც მოიაზრებს მონიტორინგის ჯგუფის შექმნას. ჯგუფში შედიან კათედრის ხელმძღვანელები, რომლებიც მონიტორინგს უწევენ ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა: ურთიერთდასწრება გაკვეთილზე, პროექტები და სხვადასხვა ტიპის

ღონისძიებები. მასწავლებლები ურთიერთდასწრების დროს უწევენ ერთმანეთს მონიტორინგს და აფასებენ გაკვეთილის ყველა აქტივობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

□კოლის მიერ □არმოდგენილი მტკიცებულებები (სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის, სადამრიგებლო პროგრამების, შეფასების რუბრიკების შესახებ) ადასტურებს, რომ □კოლაში მონიტორინგისა და შეფასების პროცესი ემსახურება სასკოლო საზოგადოებს წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. მოსწავლეები ფასდებიან მრავალმხრივი კონტექსტის გათვალისწინებით. შეფასება ხდება არა მხოლოდ გაკვეთილის პროცესში, არამედ სკოლის სხვადასხვა ღონისძიებებში, მაგალითად, პროექტებში, კონფერენციებში, ოლიმპიადებში, სპორტულ აქტივობებში. სკოლის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები არის იმის მტკიცებულება, რომ შეფასება ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერასა და დახმარებას. მათ გათვითცნობიერებული აქვთ, რომ ყველა მოსწავლის წარმატებაზე დაკვირვებისთვის აუცილებელია კარგად იცნობდნენ მოსწავლეთა ემოციურ თუ სოციალურ მდგომარეობას. ამიტომ თანამშრომლობენ კლასის დამრგიგებლებთან. ამის დასტურია სადამრიგებლო პროგრამა. მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი აკვირდება მასწავლებლის საქმიანობას (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესს), აფასებს და აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

მონიტორინგი და შეფასება უნდა ემსახურებოდეს წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას. იგივე შეგვიძლია დავასკვნათ სკოლის მიერ წარმოდგენილი დანართების (კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია; ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება; შეფასების რუბრიკები) საფუძველზე. სასწავლო პროცესის მონიტორინგი ხორციელდება სკოლის დირექტორისა და მოადგილის მიერ საგაკვეთილო პროცესზე დასწრებით, რა დროსაც დგინდება მასწავლებლების საჭიროებები და ისახება პრობლემის გადაჭრის გზები. გარდა ამისა, მასწავლებლები იზიარებენ და ითვალისწინებენ ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის განმავითარებელ შეფასებას, ასევე კათედრის წევრთა ურთიერთდასწრების შედეგად გაზიარებულ გამოცდილებას. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია ინფორმაცია მონიტორინგისა და შეფასების შედეგების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავებზე კურიკულუმის გაუმჯობესების მიზნით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- შეფასების რუბრიკები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. .შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

მოსწავლეთა შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. შეფასების ჰოლისტური ხასიათი გულისხმობს ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. ინტერვიურების დროს მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ პროცესების, მოსწავლის პრობლემის გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია, ეს ინფორმაცია მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან კი ჩანს, რომ მოსწავლეების შეფასება ხორციელდება როგორც ფაქტობრივი და პროცედურული, ასევე პირობისეული ცოდნის გათვალისწინებით. ეს დასტურდება კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებიდან, რომელთა შესრულებაც მოითხოვს სამივე კატეგორიის ცოდნას. სკოლაში მოქმედებს შფასების გარე მექანიზმიც (naec), რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შეფასების მრავალფეროვნებას. შესაბამისად, ამ ინდიკატორით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. .შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

მოსწავლეთა შფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ინტერვიურების პროცესში კათედრის წევრები საუბრობდნენ უკვე განხორციელებული კომპლექსური დავალებების შესახებ, ასევე, არაფორმალური განათლების კუთხით მათ გამოცდილებაზე, რაც იმაზე მეტყველებს, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. საშინაო დავალების კომპონენტით ფასდება ნებისმიერი ტიპის დავალება (წერითი, ზეპირი, ექსპერიმენტი, ნამუშევარი (მაგ. ნახატი, ესე და სხვ.), რასაც მოსწავლე სახლში ამზადებს. საგნობრივი ჯგუფების სპეციფიკიდან გამომდინარე, საშინაო და საკლასო დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს: ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაცია, სავარჯიშოების შესრულება, ექსპერიმენტი, დისკუსია და სხვა. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, თითოეულ მასწავლებელს შემუშავებული აქვს სხვადასხვა აქტივობის ინდივიდუალური შეფასების სქემები. ეს ჩანს ერთწლიან სასკოლო სასწავლო გეგმაში, სადაც წარმოდგენილია მოსწავლეთა შფასების ტიპები და კრიტერიუმები. შესაბამისად, ამ ინდიკატორით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებიდან ჩანს, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. სიტუაციის, მოვლენის, მოსწავლის უნარისა და შესაძლებლობებისა თუ სხვა ასპექტების შესწავლისას გადამწყვეტია მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაციის მიღება, რაც შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით, რაც შესწავლის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს. სკოლა გეგმავს სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ მოახდინოს მოსწავლეთა დიაგნოსტირება შფასების N1 ინსტრუმენტის გამოყენებით, რაც გულისხმობს კომპლექსური დავალებების დანერგვის პროცესში მოსწავლეებზე დაკვირვებას და ამ დაკვირვების შედეგების სპეციალურ ცხრილში ასახვას. მიღებული შედეგების გაანალიზებით კი ახალი სასწავლო წლისთვის შესაბამისი აქტივობების დაგეგმვას. სკოლის ერთწლიანი სასკოლო სასწავლო გეგმიდან ჩანს, რომ სტანდარტის მოთხოვნათა შესასრულებელად აუცილებელია შემაჯამებელი დავალების კომპონენტში კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება (მაგ., ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.). ამგვარ დავალებაში შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასებისათვის მასწავლებლები გეგმავენ, შეიმუშავონ მოსწავლეების შეფასების კრიტერიუმები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფლებულია

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ტესტის ნიმუში განმსაზღვრელი შეფასებისათვის, დაგენერირებული დიაგნოსტიკური ტესტი. ერთწლიანი სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლა სამ კომპონენტზე დაყრდნობით ახორციელებს მოსწავლეთა შეფასებას, რაც გულისხმობს როგორც საკლასო და საშინაო დავალების

კომპონენტებს, ასევე შემაჯამებელ შეფასებას. მართალია, კომპლექსური დავალებებით სწავლა-სწავლების პროცესი არ გულისხმობს მოსწავლეთა შეფასებას განმსაზღვრელი შეფასებით, თუ მას სპეციალურად არ მიანიჭა მასწავლებელმა შემაჯამებელი დავალების სტატუსი, მაგრამ კომპლექსურ დავალებებში ჩაშნებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები აღწერს მოსწავლეთა განვითარების დინამიკას. ყველაზე ტიპური პროცესი, რომელიც გვიჩვენებს შეფასების მულტიფაქტორულ მიდგომას, არის მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. მულტიფაქტორული მიდგომა გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. შესაბამისად, ამ ინდიკატორით სკოლა**აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგნობრივი კურიკულუმები და მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები;
- ერთწლიანი სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი (დანართი N2);
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი (დანართი N10, ბრძანება N2);
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- შემაჯამებელი ოქმი (ე.წ. რესურსი N12).

რჩევა: 1. საშუალო საფეხურის კურიკულუმისთვის კომპლექსური დავალებები შეარჩიეთ math.ge მათემატიკის საიტიდან, სადაც განთავსებულია დამატებითი რესურსი „მათემატიკის სახელმძღვანელო“ მიმართულებების მიხედვით.

2. შექმენით მოსწავლეთა ნამუშევრების/ პორტფოლიოების ბაზა, რაც დაგეხმარებათ მოსწავლეთა შეფასებაში

3. შექმენით ყველა კლასისთვის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მათ შორის ტესტები, თემების მიხედვით, რაც დაგეხმარებათ მოსწავლეთა შეფასებაში.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია ინფორმაცია მონიტორინგისა და შეფასების შედეგების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავებზე კურიკულუმის გაუმჯობესების მიზნით. კურიკულუმი გადაფასდება საგნობრივ კათედრებზე, სამუშაო შეხვედრებზე მასწავლებლები განიხილავენ თემატურ გეგმებს, შეფასების კრიტერიუმებს, ერთმანეთს გაუზიარებენ გამოცდილებას და გადამუშავების საფუძველზე შექმნიან საუკეთესო მოდელებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

როგორც ვიზიტის დროს გაირკვა, მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ კომპლექსური დავალებების იდეები. კურიკულუმების განხილვა მომავალშიც გაგრძელდება საბაზო საფეხურზე და გაითვალისწინებენ როგორც წინარე გამოცდილებას, ასევე მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

კოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია ინფორმაცია სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზების შესახებ შემდეგი მიმართულებების მიხედვით: 1) მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში; 2) მოსწავლეთა შედეგები; 3) მშობელთა ჩართულობა; 4) კათერდის მუშაობა; 5) სკოლის დირექცია. თითოეულ საკითხთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა შექმნის რეკომენდაციების პაკეტს მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად და სამოქმედო გეგმის გასაახლებლად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო)	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია სასკოლო კურიკულუმის არსი და მისი შემადგენელი ნაწილები, მიმართებები ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სასკოლო კურიკულუმს შორის, ასევე კურიკულუმის განვითარების ეტაპები. სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების პროცესში სკოლა ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია, თუ ვინ და რა ფორმით მიიღებს მონაწილეობას სასწავლო პროცესის დაგეგმვაში-მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, დირექცია. ვის რა ფუნქცია ექნება; როგორ, რა ინსტრუმენტებით მოხდება სასწავლო პროცესის შესახებ მონაცემთა შეგროვება და გათვალისწინება; რა ფორმით აღიწერება სწავლა-სწავლების მიზნები, მეთოდები და შეფასების ფორმები.

იინდიკატორი მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და მოტივაცია, პროცესს ხელს უწყობს წინასწარ დაგეგმილი შეხვედრები კათედრის წევრებთან, დირექციასთან. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავების დროს გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების წევრთა ინტერესები. კურიკულუმში გაწერილია საინტერესო, არსებულ რეალობასა და მოსწავლეთა საჭიროებაზე გათვლილი კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებაც მოსწავლეთა შედეგებს გააუმჯობესებს და უფრო საინტერესოს გახდის სასწავლო პროცესს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივ კათედრებზე . მასწავლებელი კათედრასთან თანამშრომლობით ქმნის და განავითარებს საკუთარ კურიკულუმს, რომლის საშუალებითაც აჩვენებს იმ გზას (აქტივობები, დავალებები, სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებული რესურსები), რომელსაც საკუთარ მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნულ სასწავლო გეგმაში დასახული გრძელვადიანი მიზნების (საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები) მისაღწევად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილია ის ინსტრუმენტები და წყაროები, რომელთა დახმარებით მოხდება სასკოლო კურიკულუმის გაზიარება, საჯარო და ხელმისაწვდომი გახდება სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის, შესაბამისად ყველას შეეძლება შეხედულებებისა და აზრის დაფიქსირება. სასკოლო საზოგადოება იზიარებს მის შინაარსს, ვინაიდან ის ორიენტირებულია მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**
საშუალო საფეხურის X-XII კლასების კურიკულუმის ჩარჩოებში განსაზღვრულია შუალედური მიზნები, მათ თან ახლავს რამდენიმე კოპმლექსური დავალების მიხედვით მომზადებული თემატური მატრიცა, საიდანაც იკითხება, რომ კურკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილების გააქტიურებაზე, მათი მრავალმხრივი უნარების განვითარებაზე. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ სრული მზაობა აქვთ თემატური ერთეულები, ცალკეული დავალებები და აქტივობები მაქსიმალურად მოარგონ მოსწავლეთა შესაძლებლობებს. თვითშეფასების კითხვარშიც მითითებულია, რომ დაწყებით საფეხურზე თითოეული მასწავლებელი ითვალისწინებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მისაღწევ შედეგებსა და გრძელვადიან მიზნებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)**
საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი თემების, სამიზნე ცნებებისა და კოპმლექსური დავალების მიხედვით, იკვეთება, რომ კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); აღნიშნული ირკვევა პედაგოგებთან გასაუბრებისას, კერძოდ, მოსწავლეებში გლობალურ-კოგნიტური უნარების განვითარებას, არა მარტო კომპლექსური დავალებებით, არამედ პროექტული სწავლებითა და თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების კითხვარების გამოყენებით აღწევენ. აქტიურად მუშაობენ, ასევე, შემდეგი მიმართულებებით: კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ლიდერობა, დროის მოქნილობა, ხასიათი. დაწყებით კლასებში განსაკუთრებით იყენებენ ხარაჩოს მეთოდს, რაც ხელს უწყობს მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას და ემსახურება კონსტრუქტივისტულ საყრდენებზე დაფუძნებით ცოდნის აგებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს**

წარმოდგენილი თემატური ერთეულების, გაცნობის საფუძველზე შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ სასწავლო პროცესი შეძლებისდაგვარად ითვალისწინებს დიფერენცირებულ /ინკლუზიურ მიდგომებს; გასაუბრებებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დავალებებისა და აქტივობების დაგეგმვისას ინტენსიურად თანამშრომლობენ სპეციალურ მასწავლებელთან, რათა სასწავლო გარემო და რესურსები მეტად მოქნილი და ინკლუზიური გახადონ, აქვთ გამოცდილება, რომ ცალკეული მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით წარმართონ სამომავლოდ კურიკულუმის ადაპტირება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, 2023-2024 სასწავლო წლისთვის მოსწავლეები შეფასდებიან, როგორც მიმდინარე, ისე შემაჯამებელი დავალებების მიხედვით. აქტიურად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისი რუბრიკები სხვადასხვა საგანში. პედაგოგებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ სრულად ფლობენ შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებისა და შესაბამისი რუბრიკების შექმნის სტრატეგიებს, ასევე, შექმნილიც აქვთ რამდენიმე რუბრიკა და ინტენსიურად აგრძელებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მომზადებას შერჩეული კომპლექსური თუ შემაჯამებელი დავალებებისთვის, ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარიდანაც ჩანს, რომ X-XII კლასებში შეფასება ხდება მესამე თაობის სასწავლო გეგმის შესაბამისად. რაც შეეხება მოსწავლების მიღწევებს, ფასდება, როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. **.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.**

სკოლის საშუალო საფეხურზე, სასწავლო თემები, რესურსები და შუალედური მიზნები საგნობრივი კათედრების თანამშრომლობის საფუძველზეა შემუშავებული. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სამომავლოდ დაგეგმვის პროცესში უფრო მეტად გათვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებისა და ანალიზის ინსტრუმენტზე მუშაობენ. შეფასებისა და ანალიზის შედეგად მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირის, რეფლექსიის შედეგებისა და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით გადაამუშავებენ კურიკულუმებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- კურიკულუმის ჩარჩოები და დავალების მატრიცები (X-XII კლასები);

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**

სსიპ ქალაქ თბილისის N58 სკოლაში სასწავლო პროცესში გათვალისწინებული სწავლა-სწავლების პრინციპები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორიენტირებას მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე. საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებს შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემების გადაჭრის გზით. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, კონსტრუქტივისტული მიდგომებით, რესურსებით, და

სტრატეგიებით. სკოლაში მთელი სასწავლო წლის განმავლობაში ხორციელდება სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები, ფესტივალები, სპორტული და ინტელექტუალურ აქტივობები, გასვლითი ღონისძიებები მუზეუმებში , თეატრებში. მოსწავლეები მთელი სასწავლო წლის განმავლობაში ერთვებიან ისეთ პროექტებში რომლებიც გულისხმოს ხელნაკეთი ნივთების დამზადებას, გამოფენა/გაყიდვას. მაგ: პროექტი „ძველი თბილისის სკოლების რაიონული ფესტივალი მომავალი საქართველოსთვის“ . სკოლაში აქტიურად ფუნქციონირებს „ეკო 58“ , „სამოქალაქო განათლების“, „ხელოვნური ინტელექტის“,“მოაზროვნეთა“, „დებატების“ კლუბები.2023-2024 სასწავლო წელს იგეგმება პროექტები რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას , ასევე მოსწავლეებში შინაგანი მოტივაციის ზრდას, ჩამოუყალიბდებათ პოზიტიური დამოკიდებულებები და გაიზრდება მათი აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

.2. **.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით**

საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, რაც წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას. მოსწავლეები ინფორმაციის დამუშავებას და ცოდნად გარდაქმნას, წინარე ცოდნის საშუალებით ახორციელებენ, რაც განაპირობებს შინაგანი ძალების გააქტიურებას. კომპლექსური დავალებები ისეა ფორმულირებული რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეებისთვის ნაცნობი კონტექსტები შემოაქვს .საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების შესრულებისას მოსწავლეებს მოუწევთ გადაჭრან მათთვის ნაცნობი პრობლემები, გააკეთონ ანალიზი და შექმნან საინტერესო პროდუქტი. სკოლაში იგეგმება ესგ-ს პრიორიტეტულ თემებზე ორიენტირებული პროექტების განხორციელება, რაც ასევე ხელს შეუწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე**

მასწავლებელთა გასაუბრებიდან, წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე რომლის მიზანია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები, კომპლექსური დავალებები ისეა აგებული, რომ მოსწავლეს შეუძლია მეტაკოგნიტური უნარების გამომუშავება, რაც სამომავლოდ გაზრდის მოსწავლეთა თვითშეფასებას. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში შეფასების კრიტერიუმები ისეა გაწერილი რომ ხელს უწყობს მოსწავლეებში სწავლის-სწავლის, რეფლექსიის, თვითრეგულირებული სწავლის უნარების განვითარებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);**

მასწავლებელთა გასაუბრებიდან და წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული); რაც აისახება საგნობრივ პროგრამებში, კომპლექსურ დავალებებსა და არაფორმალურ აქტივობებში. ორიენტირება ცოდნის სამივე კატეგორიაზე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში საკითხის გააზრებას, არსობრივ წვდომასა და სხვადასხვა კონტექსტში ცოდნის გამოყენებას. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში არსებული რესურსების (ქიმიური რეაქტივები, მოდელები, ხელსაწყოები) მიზნობრივად გამოყენება ხელს უწყობს ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებას. ლაბორატორიაში წარმოდეგენილია არაფორმალური განათლების ფარგლებში დამზადებული რესურსი ფიზიკაში , რომელსაც აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.
მასწავლებელთა გასაუბრებიდან, თვითშეფასების დოკუმენტიდან, საგნობრივი კურიკულუმებიდან ჩანს რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე რაც ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. ამავდროულად ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებას ხელს უწყობს სკოლაში განხორციელებული არაფორმალური, პროექტული და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობები, სადამრიგებლო საათზე განხორციელებული მუშაობა და ა.შ.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- წრეები და პროექტები;
- დამრიგებლის სამოქმედო გეგმა.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**

დაწესებულების სასკოლო სასწავლო გეგმიდან ჩანს, რომ სკოლაში აქტიურად მუშაობს საგნობრივი კათედრები, სადაც ხდება კურიკულუმებზე მუშაობა და კომპლექსური დავალების დაგეგმვა. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებელთა ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული აქვს გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თემებში შერჩეულია საკითხები ისე, რომ შესაძლებელია თემის დამუშავება, მუშავდება სამიზნე ცნებები, ჩამოყალიბებულია კომპლექსური დავალების იდეები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები. რელევანტური კავშირი ჩანს სამიზნე ცნებას, ქვეცნებას, საგნობრივ საკითხსა და რესურსებს შორის. სკოლას აქვს მზაობა საგნობრივმა კათედრებმა აქტიურად გააგრძელონ მუშაობა, შედგეს კურიკულუმები და დაიგეგმოს კომპლექსური დავალებები, რათა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივ კურიკულუმში ასახული საკითხები მოსწავლეთათვის არ იქნება რთულად აღსაქმელი, რადგან ცოდნის თანდათან კონსტრუირებას ეფუძნება, რაც მოსწავლისთვის დადებით ფსიქო-ემოციურ პირობებს ქმნის. შეთავაზებული კონტექსტები და შედარების მაგალითები, მასწავლებლის რჩევები და განმავითარებელი შეფასება ერთგვარ დამხმარე რგოლს, სკაფოლდინგის სისტემას ქმნიან სასწავლო მიზნის მისაღწევად. ასევე აღნიშნეს,რომ ხორციელდება არაერთი სოციალური და საგანმანათლებლო პროექტი, რომელიც მოსწავლეების ემოციურ გააქტიურებას უწყობს ხელს. ასევე, მოსწავლეებში ემპათიის, პასუხისმგებლობის, აქტიური მოქალაქისათვის დამახასიათებელი უნარების განვითარებას ისახავს მიზნად. კერძოდ,სკოლაში აქტიურად მუშაობენ „ეკო 58“, „სამოქალაქო განათლების“, „ხელოვნური ინტელექტის“, „მოაზროვნეთა“ „დებატების“ კლუბები. სკოლაში მოქმედი წრეები/კლუბები წარმატებით ფუნქციონირებს, რასაც

ადასტურებს აღნიშნულ წრეებში/კლუბებში გაწევრიანებულ მოსწავლეთა რიცხოვნობა.სკოლას აქვს მზაობა სასწავლო მიზნების ჩამოყალიბებასა და სწავლის პროცესში მაქსიმალურად გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინტერესები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

სკოლის თვითშეფასების კითხვარის, სასკოლო სასწავლო გეგმის და წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების მიხედვით ნათელია, რომ სკოლას გააზრებული აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მიზნები და ამოცანები. სკოლის დოკუმენტაციაში წარმოდგენილია და მასწავლებელთა ინტერვიურების დროს გამოიკვეთა რომ სკოლა იყენებს შეფასების რუბრიკებს(პრეზენტაციის,ჯგუფური მუშაობის,დისკუსიის,) სასწავლო პროცესში. შეფასების რუბრიკები არ არის აქცენტირებული მხოლოდ საგნობრივი საკითხის დასწავლაზე, არამედ მოსწავლის სასწავლო პროცესში აქტიურ მონაწილეობას უწყობს ხელს. მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. იგეგმება გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან მიმართებით განმავითარებელი და თემის ფარგლებში მოსწავლეთა შედეგების ინდიკატორებზე დაყრდნობით განმსაზღვრელი შეფასების წარმოება შესაბამის რუბრიკებზე დაყრდნობით. ეს კი ორიენტირებული იქნება მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე და მორგებული მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან და მასწავლებელთა ინტერვიურების დროს გამოიკვეთა , რომ სკოლაში მოსწავლის შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი. მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების კარგი გამოცდილება აქვთ, რა დროსაც მოსწავლეები უფრო სიღრმისეულად და პასუხისმგებლიანად იაზრებენ შეფასების კრიტერიუმებს და უჩნდებათ თანამონაწილეობის, სამართლიანობის განცდა.რუბრიკების შემუშავებაში მოსწავლეთა ჩართულობა ზრდის სანდოობის ხარისხს, სამართლიანობის პრინციპის დაცვას .გამჭვირვალეობა უზრუნველყოფილია შეფასების რუბრიკების წინასწარ გაცნობით, მოსწავლეებისათვის სასწავლო პროცესში წინასწარ ცნობილია შეფასების რუბრიკის კრიტერიუმები, ამით ხელს ვუწყობთ მოსწავლეებმა რეალურად შეაფასონ საკუთარი თავი. სკოლას აქვს მზაობა მოსწავლეთა ჩართულობითა და მათი ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით შეფასების რუბრიკების შემუშავებამ უფრო სისტემური და ხშირი ხასიათი მიიღოს. გარდა ამისა, კარგი იქნება რუბრიკების შემუშავებისას კოლეგების და მშობლების აზრის გათვალისწინებაც. საგნობრივ კათედრაზე თითოეული საგნისათვის შექმნან ისეთი შეფასების სისტემა, სადაც იქნება გააზრებული შეფასების სისტემური მიდგომა. მოსწავლეთათვის ცნობილი იქნება: თუ რაში ფასდებიან, როგორ ფასდებიან, რამდენად მიზნობრივად ფასდება მოცემული შედეგი, რამდენად უზრუნველყოფილია თანაბარი სამართლიანობა მოსწავლეთა მიმართ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5 .სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

დაწესებულებამ წარმოადგინა ბრძანება N2-157 (30.08.2023წ) დამტკიცებული კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომლის მე-7 პუნქტი წარმოადგენს ვერიფიკაციის მექანიზმს. დოკუმენტით განსაზღვრულია ვერიფიკაციის მიზანი, ვინ შეიძლება იყოს ვერიფიკატორი, როგორ ხორციელდება ვერიფიკაციის პროცესი და რა რისკები შეიძლება დადგეს პროცესში. ვერიფიკაციის ანგარიშს დაწესებულება იხილავს როგორც სასკოლო კურიკულუმის შეფასების ინსტრუმენტს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სკოლის თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ სკოლაში დაცულია დოკუმენტის წარმოებასთან და მათ შენახვასთან დაკავშირებული რეგულაციები. ჟურნალი წარმოადგენს სკოლის ოფიციალურ დოკუმენტს, რომელიც ინახება სკოლაში, მესამე პირთაგან დაცულ ადგილას 5 წლის განმავლობაში. მოსწავლის პირადი საქმე სკოლაში ინახება 75 წლის განმავლობაში. რაც შეეხება შემაჯამებელ სამუშაოებს, როგორც მტკიცებულებას, ინახება მანამ, სანამ მოსწავლე არ გადავა მომდევნო კლასში. ასევე დასაშვებია სწავლების საფეხურის დაძლევამდე იქნას შენახული საფეხურის მანძილზე შესრულებული სამუშაოები. გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით (ელექტრონული ჟურნალი, მოსწავლეთა ნამუშევრები/ტესტები).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- კურიკულუმის ჩარჩო;
- შეფასების რუბრიკები.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო**

სკოლის სასწავლო პროცესი ხორციელდება პოზიტიურ, თანამშრომლობით და დემოკრატიულ გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტების და კათედრებთან გასაუბრების შედეგების საფუძველზე. სკოლაში დაგეგმილი ხელშემწყობი აქტივობების დებულებები გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში, სკოლაში შექმნილია ტოლერანტული და თანასწორი გარემო, რაც განაპირობებს მასწავლებლებისა და მოსწავლეების მხრიდან ინიციატივების მიღებას, დაფასებას, განხორციელებასა და გაუმჯობესებას. აქტიურად ხორციელდება მოსწავლეებისთვის საინტერესო პროექტები, წრეები და კლუბები, სადამრიგებლო პროგრამები, ინკლუზიური განათლების პროგრამები, კომპლექსური დავალებები, რაც უზრუნველყოფილია სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსებით (ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია და სპორტული ინფრასტრუქტურა და სხვა). სკოლა აქტიურად მონაწილეობს არაფორმალური განათლების საგნობრივ პროგრამებში, არის კეთილგანწყობილი, თანამშრომლობაზე აგებული ატმოსფერო. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია .**

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებელთა გასაუბრებიდან ჩანს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა მოტივაციისა და სასწავლო პროცესში მათი ჩართულობის ზრდაზე. ამ მხრივ საშუალო საფეხურის კლასებში იგეგმება არსებული კომპლექსური დავალებების განვითარება, ახალი პროექტების დაგეგმვა-განხორციელება, სადამრიგებლო პროგრამების გაძლიერება და კათედრების კიდევ უფრო გააქტიურება. აღსანიშნავია ისიც, რომ სკოლაში დაგეგმილი სასკოლო საზოგადოების გამოკითხვით, სადიაგნოსტიკო წერებითა და მისი ანალიზით ხელი შეეწყობა მოსწავლის ინტერესების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირების პროცესს. სასწავლო პროცესში გამოყენებული დიფერენცირებული სწავლების მეთოდები და მიდგომები, სსსმ მოსწავლეებისთვის შექმნილი შესაბამისი სასწავლო გარემო რესურს ოთახი, ინდივიდუალური გეგმები და სხვა, უზრუნველყოფს მოსწავლეების ინტერესებზე მორგებულ და მათზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.

სკოლის სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს სკოლაში დამკვიდრებული გამოცდილება პედაგოგების თანამშრომლობის სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან და სასკოლო საზოგადოებასთან. სკოლას მაგალითის სახით მოყვანილი აქვს „ზამთრის ფესტივალის“ ერთობლივი ორგანიზება, სკოლაში ხშირად მიმდინარეობს კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება და პოზიტიური უკუკავშირის მეთოდის გამოყენება. სკოლის სასწავლო გარემოში არსებული გამოწვევების და პრობლემების გადასაწყვეტად ავტორიზაციის პროცესში აქტიურად არიან ჩართულნი პედაგოგები და სასკოლო საზოგადოება.

ინდიკატორი მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4..უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სკოლაში პოზიტიური კლიმატის ჩამოყალიბებას განაპირობებს თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობები. პედაგოგების მიერ დაგეგმილ სასკოლო აქტივობებში მოსწავლეებთან ერთად ჩართულია სკოლის ადმინისტრაცია (მაგალითად სპორტული ფესტივალები). ამ მიმართულებით აქტივობების დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლეების, მასწავლებლების, ადმინისტრაციისა და მშობლების გამოცდილებას. სკოლის სტრატეგიული გეგმის შემუშავების ფარგლებში ჩატარებული კმაყოფილების კვლევის ანალიზიდან გამომდინარე, სკოლაში იგეგმება დამატებითი გამოკითხვის ჩატარება და მიღებული შედეგების საფუძველზე შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა-განხორციელება პოზიტიური კლიმატის სათანადოდ გაუმჯობესების მიზნით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის N58 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- ინკლუზიური განათლების დოკუმენტაცია;
- 10-12 კლასის კურიკულუმები;
- წრეები და პროექტები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

ღნიშნული ინდიკატორის მტკიცებულებად სკოლას წარმოდგენილი აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლებიც ემყარება ისეთ პრინციპებს, როგორიცაა: გამჭვირვალობა და გაზიარებულობა, მონაწილეობითობა, უწყვეტობა, ანგარიშვალდებულება. ასწავლო პროცესის უზრუნველყოფისა და მუდმივი გაუმჯობესების მიზნით, სკოლა ახორციელებს სასწავლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგსა და შეფასებას, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, სკოლის მატერიალური რესურსის გაუმჯობესებას. საშუალო საფეხურზე მონიტორინგი და შეფასება ეფუძნება მასწავლებელთა მხრიდან საკუთარი პრაქტიკის ანალიზს, განხორციელებული აქტივობების რეფლექსიებს, კათედრაზე გაწეული სამუშაოების წლიურ ანგარიშებს. სკოლას აქვს განსაზღვრული მონიტორინგის მეთოდოლოგია, რომელიც მოიაზრებს მონიტორინგის ჯგუფის შექმნას. ჯგუფში შედიან კათედრის ხელმძღვანელები, რომლებიც მონიტორინგს უწევენ ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა: ურთიერთდასწრება გაკვეთილზე, პროექტები და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები. მასწავლებლები ურთიერთდასწრების დროს უწევენ ერთმანეთს მონიტორინგს და აფასებენ გაკვეთილის ყველა აქტივობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სკოლის მიერ არმოდგენილი მტკიცებულებები (სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის, სადამრიგებლო პროგრამების, შეფასების რუბრიკების შესახებ) ადასტურებს, რომ კოლაში მონიტორინგისა და

შეფასების პროცესი ემსახურება სასკოლო საზოგადოებს წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. მოსწავლეები ფასდებიან მრავალმხრივი კონტექსტის გათვალისწინებით. შეფასება ხდება არა მხოლოდ გაკვეთილის პროცესში, არამედ სკოლის სხვადასხვა ღონისძიებებში, მაგალითად, პროექტებში, კონფერენციებში, ოლიმპიადებში, სპორტულ აქტივობებში.

სკოლის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები არის იმის მტკიცებულება, რომ შეფასება ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერასა და დახმარებას. მათ გათვითცნობიერებული აქვთ, რომ ყველა მოსწავლის წარმატებაზე დაკვირვებისთვის აუცილებელია კარგად იცნობდნენ მოსწავლეთა ემოციურ თუ სოციალურ მდგომარეობას. ამიტომ თანამშრომლობენ კლასის დამრგიგებლებთან. ამის დასტურია სადამრიგებლო პროგრამა. მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი აკვირდება მასწავლებლის საქმიანობას (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესს), აფასებს და აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

მონიტორინგი და შეფასება უნდა ემსახურებოდეს წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას. იგივე შეგვიძლია დავასკვნათ სკოლის მიერ წარმოდგენილი დანართების (კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია; ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება; შეფასების რუბრიკები) საფუძველზე. სასწავლო პროცესის მონიტორინგი ხორციელდება სკოლის დირექტორისა და მოადგილის მიერ საგაკვეთილო პროცესზე დასწრებით, რა დროსაც დგინდება მასწავლებლების საჭიროებები და ისახება პრობლემის გადაჭრის გზები. გარდა ამისა, მასწავლებლები იზიარებენ და ითვალისწინებენ ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის განმავითარებელ შეფასებას, ასევე კათედრის წევრთა ურთიერთდასწრების შედეგად გაზიარებულ გამოცდილებას. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია ინფორმაცია მონიტორინგისა და შეფასების შედეგების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავებზე კურიკულუმის გაუმჯობესების მიზნით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;

- სადამრიგებლო პროგრამები;
- შეფასების რუბრიკები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

მოსწავლეთა შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. შეფასების ჰოლისტური ხასიათი გულისხმობს ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. ინტერვიურების დროს მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ პროცესების, მოსწავლის პრობლემის გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია, ეს ინფორმაცია მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან კი ჩანს, რომ მოსწავლეების შეფასება ხორციელდება როგორც ფაქტობრივი და პროცედურული, ასევე პირობისეული ცოდნის გათვალისწინებით. ეს დასტურდება კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებიდან, რომელთა შესრულებაც მოითხოვს სამივე კატეგორიის ცოდნას. სკოლაში მოქმედებს შფასების გარე მექანიზმიც (naec), რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შეფასების მრავალფეროვნებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. .შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

.**მოსწავლეთა შფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**, წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ინტერვიურების პროცესში კათედრის წევრები საუბრობდნენ უკვე განხორციელებული კომპლექსური დავალებების შესახებ, ასევე, არაფორმალური განათლების კუთხით მათ გამოცდილებაზე, რაც იმაზე მეტყველებს, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. საშინაო დავალების კომპონენტით ფასდება ნებისმიერი ტიპის დავალება (წერითი, ზეპირი, ექსპერიმენტი, ნამუშევარი (მაგ. ნახატი, ესე და სხვ.), რასაც მოსწავლე სახლში ამზადებს. საგნობრივი ჯგუფების სპეციფიკიდან გამომდინარე, საშინაო და საკლასო დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს: ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაცია, სავარჯიშოების შესრულება, ექსპერიმენტი, დისკუსია და სხვა. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, თითოეულ მასწავლებელს შემუშავებული აქვს სხვადასხვა აქტივობის ინდივიდუალური შეფასების სქემები. ეს ჩანს ერთწლიან სასკოლო სასწავლო გეგმაში, სადაც წარმოდგენილია მოსწავლეთა შფასების ტიპები და კრიტერიუმები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. .შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებიდან ჩანს, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. სიტუაციის, მოვლენის, მოსწავლის უნარისა და შესაძლებლობებისა თუ სხვა ასპექტების შესწავლისას გადამწყვეტია მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაციის მიღება, რაც შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით, რაც შესწავლის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს.

სკოლა გეგმავს სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ მოახდინოს მოსწავლეთა დიაგნოსტირება შფასების N1 ინსტრუმენტის გამოყენებით, რაც გულისხმობს კომპლექსური დავალებების დანერგვის პროცესში მოსწავლეებზე დაკვირვებას და ამ დაკვირვების შედეგების სპეციალურ ცხრილში ასახვას. მიღებული შედეგების გაანალიზებით კი ახალი სასწავლო წლისთვის შესაბამისი აქტივობების დაგეგმვას. სკოლის ერთწლიანი სასკოლო სასწავლო გეგმიდან ჩანს, რომ სტანდარტის მოთხოვნათა შესასრულებელად აუცილებელია შემაჯამებელი დავალების კომპონენტში კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება (მაგ., ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.). ამგვარ დავალებაში შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასებისათვის მასწავლებლები გეგმავენ, შეიმუშავონ მოსწავლეების შეფასების კრიტერიუმები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**ფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;**

შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ტესტის ნიმუში განმსაზღვრელი შეფასებისათვის, დაგენერირებული დიაგნოსტიკური ტესტი. ერთწლიანი სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლა სამ კომპონენტზე დაყრდნობით ახორციელებს მოსწავლეთა შეფასებას, რაც გულისხმობს როგორც საკლასო და საშინაო დავალების კომპონენტებს, ასევე შემაჯამებელ შეფასებას. მართალია, კომპლექსური დავალებებით სწავლა-სწავლების პროცესი არ გულისხმობს მოსწავლეთა შეფასებას განმსაზღვრელი შეფასებით, თუ მას სპეციალურად არ მიანიჭა მასწავლებელმა შემაჯამებელი დავალების სტატუსი, მაგრამ კომპლექსურ დავალებებში ჩაშნებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები აღწერს მოსწავლეთა განვითარების დინამიკას. ყველაზე ტიპური პროცესი, რომელიც გვიჩვენებს შეფასების მულტიფაქტორულ მიდგომას, არის მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. მულტიფაქტორული მიდგომა გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგნობრივი კურიკულუმები და მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები
- ერთწლიანი სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი (დანართი N2)
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი (დანართი N10, ბრძანება N2)
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- შემაჯამებელი ოქმი (ე.წ. რესურსი N12)

რჩევა: 1. საშუალო საფეხურის კურიკულუმისთვის კომპლექსური დავალებები შეარჩიეთ math.ge მათემატიკის საიტიდან, სადაც განთავსებულია დამატებითი რესურსი „მათემატიკის სახელმძღვანელო“ მიმართულებების მიხედვით.

2. შექმენით მოსწავლეთა ნამუშევრების/ პორტფოლიოების ბაზა, რაც დაგეხმარებათ მოსწავლეთა შეფასებაში

3. შექმენით ყველა კლასისთვის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მათ შორის ტესტები, თემების მიხედვით, რაც დაგეხმარებათ მოსწავლეთა შეფასებაში.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

3. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
4. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია ინფორმაცია მონიტორინგისა და შეფასების შედეგების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავებზე კურიკულუმის გაუმჯობესების მიზნით. კურიკულუმი გადაფასდება საგნობრივ კათედრებზე, სამუშაო შეხვედრებზე მასწავლებლები განიხილავენ თემატურ გეგმებს, შეფასების კრიტერიუმებს, ერთმანეთს გაუზიარებენ გამოცდილებას და გადამუშავების საფუძველზე შექმნიან საუკეთესო მოდელებს.

ინდიკატორი მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

როგორც ვიზიტის დროს გაირკვა, მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ კომპლექსური დავალებების იდეები. კურიკულუმების განხილვა გაგრძელდება საშუალო საფეხურზე და გაითვალისწინებენ როგორც წინარე გამოცდილებას, ასევე მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

□კოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია ინფორმაცია სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზების შესახებ შემდეგი მიმართულებების მიხედვით: 1) მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში; 2) მოსწავლეთა შედეგები; 3) მშობელთა ჩართულობა; 4) კათერდის მუშაობა; 5) სკოლის დირექცია. თითოეულ საკითხთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა შექმნის რეკომენდაციების პაკეტს მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად და სამოქმედო გეგმის გასაახლებლად.

ინდიკატორი მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

18.10.2023 წ.
თარიღი